# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 17 მაისი 1997 №56 (421) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპის ჩემპიონები: ქალები — ქართველები, კაცები — ინგლისელები



მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია

ხორვატიის ქალაქ პულაში, იქ სადაც იუგოსლავიის დაშლამდე კინოფესტივალები იმართებოდა, დამთავრდა ევროპის გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში. ბოლო მე-9 ტურში ქართველ ქალთა ნაკრებს ერთი ქულაც ჰყოფნიდა ჩემპიონობის მოსაპოვებლად და იოსელიანი და არახამია სწრაფად შეუთანხმდნენ ყაიმზე ლიტველ მოჭადრაკეებს. 13 ქულით ნაკრებმა — მაია ჩიბურდანიძის, ნანა იოსელიანის და ქეთევან არახამიას შემადგენლობით პირველი ადგილი დაიკავა.

ვაჟთა შორის პირველობა ინგლისელებმა მოიპოვეს, რომელთაც აღიარებულ ფავორიტებს — რუსებს აჯობეს. სომხებმა მესამე ადგილი დაიკავეს. ქართველი ვაჟები, ერევნის ოლიმპიადის მსგავსად, აქაც მერვენი იყვნენ.

# მტყუან-მართალი გაირკვა

15 მაისის „სარბიელში" დაიბეჭდა „დინამო" — თსუ-ს მატჩის რეპორტაჟი სათაურით „ჩემპიონობა — ჩვევად", რომელსაც თსუ-ს პრეზიდენტის ზაალ ცხვარაძის მატჩისშემდგომი ინტერვიუც ერთვოდა. მან არბიტრ მერაბ მალაღურაძის მიერ სტუდენტთა მეკარის ზურაბ ბათიაშვილის გაძევება არასწორად მიიჩნია, თანაც თქვა: „მე პირდაპირ ვაცხადებ, რომ ფოთს აქვს ფული მიცემული მალაღურაძისთვის და ამიტომ გამიგდო მეკარე. იცის, მეკარე არა მყავს. სიდამონიძე დამტვრეულია, ტრავმა აქვს და უმეკაროდ დამტოვა".

რა კავშირი უნდა ჰქონოდათ ფოთელებს თბილისურ დერბისთან? ცხვარაძის ვარაუდით, მოედნიდან გაძევებული ბათიაშვილი ორ მომდევნო შეხვედრას გამოტოვებდა, ერთს „მარგვეთთან", მეორეს კი სწორედ მის მიერ ბრალდებულ „კოლხეთთან", ამ მატჩს კი, ისევე როგორც სხვა დარჩენილებსაც, ორივე გუნდისთვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

პუბლიკაციას ფოთელთა მყისიერი და მძაფრი რეაქცია მოჰყვა. რედაქციაში „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტმა ვახტანგ ხაინდრავამ მოგვაკითხა და გვითხრა:

— მე დღეს იმიტომ გეწვიეთ რედაქციაში, რომ გამოვხატო ჩემი აღშფოთება იმ სიცრუის გამო, რომელმაც შეაძრწუნა „კოლხეთის" ხელმძღვანელობა, გუნდის გულშემატკივრები და მთელი ქალაქი. კლუბის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ვესაუბრე იურისტს და უახლოეს დღეებში სასამართლოში სარჩელის შეტანას ვაპირებ ამ ცილისწამების გამო. მსგავსი რამ არ მომხდარა რვავე ეროვნულ ჩემპიონატში. სწორად გამიგეთ, ბატონ ზაალ ცხვარაძეს საერთოდ არ ვიცნობ და პიროვნულად მის წინააღმდეგ არაფერი მამოძრავებს, მაგრამ რაც მან თქვა, მთელი ფოთის შეურაცხყოფაა. ქართული კაცთმოყვარეობიდან და კოლეგიალობიდან გამომდინარე, სასამართლოს იმ შემთხვევაში არ მივმართავთ, თუ ბატონი ცხვარაძე უარყოფს ბრალდებას და საჯაროდ მოიხდის ბოდიშს.

ამის შემდეგ ზაალ ცხვარაძეს დავუკავშირდით, ის და ხაინდრავა ერთმანეთს რედაქციაში შეხვდნენ და ისაუბრეს. მერე კი თსუ-ს პრეზიდენტმა განაცხადა:

— „დინამოსთან" წაგების შემდეგ „სარბიელისთვის" მიცემულ ინტერვიუში ცხელ გულზე მართლაც გამოვთქვი ისეთი მოსაზრება, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამება. ამისთვის პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ და „სარბიელის" საშუალებით ბოდიშს ვუხდი ფოთის „კოლხეთის" ხელმძღვანელობას, მთლიანად გუნდის წევრებს და მათ გულშემატკივრებს. ბოდიშს ვუხდი „ქართული ფეხბურთის" რედაქციასაც არასწორი ინფორმაციის მიწოდებისთვის.

მაშ ასე, ყველაფერი გაირკვა — ვინ რა თქვა, როდის და რატომ, თანაც ყველაფერი ცივილიზებულად და მშვიდობიანად. მაგრამ ჩვენ ჩვენი სათქმელი გვაქვს — ფეხბურთის ფედერაციის ორგანოს გუშინდელი ნომრის პირველ გვერდზე აღწერილია, თუ როგორ ესტუმრა აღშფოთებული სტუმარი ამ რედაქციას და ამათი შეხვედრისას დადგინდა, რომ „სარბიელმა" ტყუილი დაბეჭდა. მტყუან-მართალი ზემოთ გამოჩნდა. იმ ორგანოს თანამშრომლებს კი, „სარბიელის" ინფორმაციების სიზუსტის შემოწმება-გადამოწმებაში რომ „დაოსტატებულან", აღშფოთებული სტუმრის დაწვრილებით გამოკითხვასთან ერთად (ბოლო-ბოლო, ამას კოლეგიალობა მოითხოვს), კარგი იქნებოდა, ჩვენთან დაერეკათ და მაშინ თავს უხერხულ მდგომარეობაში აღარ ჩაიგდებდნენ. ისე, ურიგო არ იქნება, თუ ფედერაციის ორგანო თსუ-ს პრეზიდენტს მიბაძავს, შეცდომას კაცურად აღიარებს და მომდევნო ნომრის პირველ გვერდზე თავის მკითხველებს აუწყებს, რომ „სარბიელი" ტყუილებს არ წერს.

# გიო «სიტიში» რჩება

გუშინწინ „მანჩესტერ სიტის" თავმჯდომარე ფრენსის ლი და გიორგი ქინქლაძე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს გიოს და „სიტის" ბედის გასარკვევად. მოლაპარაკებამ ლი გაახარა, რადგან ქინქლაძემ გადაწყიტა, მანჩესტერში ერთი წლითაც დარჩეს. მართალია, ლი ეცადა, გიო სამი წლით დარჩენაზე დაეყოლიებინა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებითაც კმაყოფილი დარჩა. შედგა ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი.



ქინქლაძის უახლოესი მეგობრისა და მრჩევლის, თურქეთში დაბადებული რობერტო ფერეროს თქმით, გიოს ისე უყვარს „მანჩესტერ სიტი" და მისი გულშემატკივრები, რომ სწორედ ამან გადააწყვეტინა ერთი წლით დარჩენა. მხარეები ახალ პირობებზე შეთანხმდნენ: გიო კვირაში 20 ათას გირვანქას მიიღებს, რაც წელიწადში მილიონ გირვანქას უდრის. ამასთან, ქინქლაძე სატრანსფერო თანხის მეხუთედსაც მიიღებს, თუ „სიტი" მას ამ ერთ წელიწადში გაყიდის. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ გუნდს პრემიერლიგაში გადასვლის იმედი გადაეწურება, რადგან, თუ ამ უფლებით არ ისარგებლებს, მომავალი სეზონის ბოლოს გიოზე ბოსმანის წესი გავრცელდება და „სიტი" გიოსაც დაკარგავს და გვარიან თანხასაც. თავად ქინქლაძეს ამ ერთი წლის მანძილზე კონტრაქტის ორჯერ გადახედვის უფლება აქვს.

ფერეროსვე თქმით, გიოს გარშემო ატეხილი აურზაურით მავანნი ხელის მოთბობას ცდილობდნენ, მას, თითქოსდა, ყოველკვირეულ 50 ათას სთავაზობდნენ, მაგრამ ქინქლაძე ავანტიურას აერიდა და 20 ათასს დასჯერდა.

ასეთი ხალხი, ეტყობა, მართლაც-არსებობდა, რადგან იტალიური „ფიორენტინასგან" და თურქული „გალათასარაისგან" ინფორმაციამ გამოჟონა. უფრო მეტიც, ფლორენციელთა პრეზიდენტმა ვიტორიო ჩეკი გორიმ განაცხადა, რომ ის ხალხი, ვინც თავს გიოს აგენტებად ასაღებდნენ, ორწლიან კონტრაქტში ქინქლაძისთვის 7 მილიონი გირვანქის გადახდას ითხოვდნენ. იგივე აგენტები უფრო ნაკლებს, 4,5 მილიონ გირვანქას სთხოვდნენ „გალათასარაის" ქინქლაძესთან სამწლიან კონტრაქტში. „ფიორენტინას" პრეზიდენტმა ამაზე თქვა: ქინქლაძე კი მართლა ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ მაინც გამიკვირდება, თუ ვინმე მასში ამხელა თანხას გადაიხდისო. არადა, ფრენსის ლის ახლაღა უთქვამს გიოსთვის, „უემბლიზე" რომ შეგცვალეს, „ნიუკასლის" მწვრთნელმა კენი დალგლიშმა მომძებნა და მითხრა, ქინქლაძეში 7 მილიონს გაძლევო, მაგრამ უარით გავისტუმრეო.

„მანჩესტერ სიტის" პრემიერლიგაში დასაბრუნებლად არამარტო ფეხბურთელთა შენარჩუნება, არამედ დამატებაც გადაუწყვეტია. მათ ტყუპი არველაძეებისა და დინამოელი გიორგი კიკნაძის ყიდვაც განუზრახავთ.

თავად გიომ, რომელსაც გუშინ ვესაუბრე, ახალ ქართველთა შეძენაზე არაფერი იცოდა, მაგრამ დანარჩენი ინფორმაცია დამიდასტურა. მოკლედ, ქინქლაძე კიდევ ერთი წლით სიტელია. ორშაბათს გიო თბილისს გამოემგზავრება, დღეს კი „უემბლიზე" თასის ფინალის ერთად ყურებას ვაპირებთ.

**დავით მჭედლიშვილი**
**ლონდონიდან**

# იწყება თუმც კი გვიან

საერთაშორისო სეზონი რომ დაასრულეს და უცხოეთი მოვლეს, „ბორჯღალოსნები" შინ დაბრუნდნენ და შინაურ ჩემპიონატში ებმებიან, რომელიც უჩვეულოდ გვიან იწყება.

ამ უქმეებზე „ა" ჯგუფის პირველი ტურია. დღეს ქუთაისის „გელათი" მასპინძლობს თბილისის „ქორებს". ხვალ კიდევ ორი მატჩია: ჭყონდიდლის დასახლებაში რუსთავის „ქიმიკოსს" ეწვევა ქუთაისის „აია", საქართველოს სპორტის აკადემიის (ყოფილი ფიზკულტურის ინსტიტუტის) სტადიონზე კი ითამაშებენ დებიუტანტი ასპ და ვიცე-ჩემპიონი „ყოჩები".

თამაშები რუსთავსა და თბილისში 18 საათზე დაიწყება.



# ტრაგედიის მიუხედავად...

ტრაგიკული ამბავი მოვიდა დედამიწის უმაღლესი მწვერვალის ფერდობებიდან, მაგრამ მკითხველს და ჩვენი მთამსვლელების ახლობლებს თავზარი რომ არ დავცეთ, დასაწყისშივე გაცნობებთ — იქ მოლაშქრე ქართველი ალპინისტები ჯანმრთელნი და საღ-სალამათნი არიან.

ახლა კი მივყვეთ თანმიმდევრულად.

როგორც 25 მარტის „სარბიელში" ვიუწყებოდით, ჯომოლუნგმაზე (8848 მ) სალაშქროდ დაიძრა დიდი საერთაშორისო ექსპედიცია, რომელსაც ყაზახეთის წარმომადგენელი, ფრიად გამოცდილი მთამსვლელი ედვარდ ილინსკი მეთაურობდა. გუნდში იყო თბილისელი გია თორთლაძეც. ექსპედიციის წევრები, 25 კაცამდე ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში შეიყარნენ, იქიდან კი გადავიდნენ ტიბეტში და ჩრდილოეთის კლასიკური მარშრუტით დაიწყეს ასვლა.

იმავდროულად იქ თავი მოიყარეს სხვა ექსპედიციებმაც, ერთ-ერთ მათგანში იყო კიდევ ორი ქართველი მთამსვლელი აფი გიგანი და ბენო ქაშაკაშვილი, რაც, სამწუხაროდ, დაგვიანებით შევიტყვეთ და მკითხველს თავის დროზე ვერ ვაუწყეთ.

ჩვეულებრივ, ჰიმალაის მწვერვალებზე ამსვლელნი ექსპედიციის დასრულებას მაისის პირველ ნახევარში გეგმავენ, რადგან მერე იქ მუსონები იწყება და უამინდობის გამო ლაშქრობა შეუძლებელი ხდება. ამიტომ ეს დღეები მოუთმენლად ველოდით ცნობებს ჯომოლუნგმადან. და აი, გია თორთლაძემ შინ დარეკა და ოჯახს აცნობა, რომ 7 მაისს მათი ჯგუფის სამი წევრი, ყაზახეთის წარმომადგენლები პლოტნიკოვი, შევჩენკო და კიდევ ერთი, დაღუპულან, ზოგსაც ხელ-ფეხი ძლიერ მოეყინა და ახლა საავადმყოფოში ყოფილან. იმ დაღუპულებს ბოლო საიერიშო ბანაკი 8200 მეტრზე გაუმართავთ, მწვერვალისკენ უთენია გადგომიან გზას და მიზნისთვისაც მიუღწევიათ ცუდ ამინდში, რაც თანდათან გაუარესებულა. ქარის სიჩქარეს საათში 150 კილომეტრისთვის მიუღწევია. სამწუხაროდ, ამ პირველ მოიერიშე ჯგუფს კარვამდე ველარ ჩამოუღწევია.

ეს ყველაფერი ქვედა ბანაკებში მყოფთ უამბო იმავე მოიერიშე ჯგუფის წევრმა ფროლოვმა, ვინც ცოცხალი კი გადარჩა, მაგრამ მერე ხელ-ფეხის ძლიერი მოყინულობის გამო კატმანდუს საავადმყოფოში გადაუყვანიათ.

გიას ოჯახისთვის ისიც უცნობებია, რომ უბედურება დატეხია თავს სხვა ექსპედიციასაც, რომელშიც დანარჩენი ჩვენი მთამსვლელები აფი გიგანი და ბენო ქაშაკაშვილი არიან. მათი გუნდის ერთი წევრი, 26 წლის გერმანელი მთამსვლელი დაღუპულა.

თორთლაძეს ისიც უთქვამს, რომ ყოველივე ამის მერე ექსპედიციების წევრებს ველარ გადაგვიწყვეტია გავაგრძელოთ ასვლა თუ არაო. ამის მერე თორთლაძე ოჯახს აღარ დაკავშირებია, გუშინ კი პარიზში მიღებული ცნობის თანახმად ცნობილი გახდა, რომ ექსპედიციების წევრებს ლაშქრობის ბოლომდე მიყვანა განუზრახავთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

# ძმა ძმისთვისაო...

რამაზ ფალიანმა რუსეთი კი მიატოვა, მაგრამ მისი საბერძნეთის მოქალაქედ გახდომის საკითხი ჯერ გასარკვევია. რამაზი საბერძნეთშია და იქაური კრივის ფედერაციის თავკაცებთან აწარმოებს მოლაპარაკებას. 20 მაისს საქართველოს მოკრივეები ელადას გაემგზავრებიან, ჩვენი კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, რამაზის ძმა ზურაბიც მათ გაჰყვება და ძმასთან ერთად გააგრძელებს მოლაპარაკებას. სწორედ ზურაბ ფალიანის საბერძნეთში ჩასვლის შემდეგ გადაწყდება, თუ რა პირობებით დარჩება რამაზი იქ.

## წუხელ

**გერმანიის ჩემპიონატი**

**ბუნდესლიგა. 32-ე ტური.**
ჰანზა — ბაიერნი 0:3, ფორტუნა — კარლსრუე 0:3

**ჰოლანდიის ჩემპიონატი.**
32-ე ტური. ნაიმეგენი — როდა 2:1

**ჩოგბურთი**
**გერმანიის ღია ჩემპიონატი.**
მეოთხედფინალში შტეფი გრაფმა საშინლად (0:6, 1:6) წააგო სამხრეთ აფრიკელ ამანდა კუტცერთან.

გოგი აჭვლედიანის

# სვეტი

## ლამის ოცი წლის წინათ

მახსოვს, როგორ არა, დიდი ჯიუტი ბიაკაცი იყო. 1981 წლის 17 თუ 18 მაისი იდგა, მერვე კლასში ვიყავი და მეგონა, რომ თბილისის „დინამოს" სამარადისოდ ეპყრა ადგილი ევროპულ ელიტაში.

კიროვის პარკში შატალოზე ყოფნისას შევიარე და მერხზე ჩამომჯდარი ბიაკაცების გუნდის შორიახლოს გავჩერდი. იქ გვარიანი, ცეცხლოვანი კამათი მიმდინარეობდა: ერთნი აცხადებდნენ, „დინამო" ევროპაში საუკეთესო გუნდია, ჩემპიონთა თასის ფინალში მყოფ „რეალსა" და „ლივერპულსაც" გაბრდღვნისო. მეორენი ამბობდნენ, ეს კი ასეა, მაგრამ ამ „დინამოს" 60-იანი წლების „დინამო" სჯობდა და ის რომ რუსებს ევროპაში გაეშვათ, უეჭველად რომელიმე თასს ჩამოიტანდნენო.

მაგრამ იყო ერთი ჯიუტი და ენაკვიმატი ბია, რომელიც ამბობდა: ვიტალი დარასელია რომ არა, ჩვენ თასს ვერ ავიღებდით და საერთოდ, დიდი გაუგებრობაა, „დინამომ" რომ თასი აიღოო. მის ამ სიტყვებს გვარიანი ხმაური მოჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ ბია, სულ სხვადასხვაგვარად, ერთიდაიგივეს იმეორებდა: — ჩვენ კარგი ევროპული გუნდი არ შეგვხვედრია და თასი კი ღირსეულად ავიღეთ, მაგრამ ამ გამარჯვებაზე გაუთავებელი ლაპარაკი სისულელეაო.

ბევრი ოხერი სიტყვა უთხრეს ამასაც, მაგრამ მხოლოდ ხითხითებდა, ბოლოს კი ჩემკენ გამოიშვირა თითი და თქვა: აი, ამ სკოლის გამცდენ ბიჭს რომ ხედავთ, ჩვენების თასი ისეთი ამბავია, რომ აღარ განმეორდება და ეს ბიჭი შვილიშვილებს მოუყვება, როგორც ძველისძველ ლეგენდას, ისე მოუყვებაო...

მაისის ეს კვირა ევროპის თასთა თასის ფინალის კვირაა. ეს სწორედ ის კვირაა, ჩვენი ფეხბურთის უდიდეს წარმატებას რომ გვახსენებს.

ის ჯიუტი ბია ყოველთვის მახსენდება, რადგან, თუმცა შვილიშვილები ჯერ არ მყავს, მაგრამ ევროპული ტროფეისაც ვერ ვხედავ ძალიან ახლოს.

ვერ ვხედავ იმიტომ, რომ ახლა სხვა ვერ ვხედავ იმიტომ, რომ ახლა სხვა დროა.

როტერდამიდან გადმოცემული „ბარსა" — „სენ ჟერმენის" შეხვედრამაც ის ბიაკაცი გამახსენა.

მაშინ ჩვენ არ გვქონდა საერთაშორისო ფეხბურთის ცქერის საშუალება. ქომაგები გაზეთებით და დავით ქლიბაძის გადაცემაში ნანახი მომენტებით მსჯელობდნენ უცხოურ კლუბებზე. „დინამო" რომ იგებდა და ლამაზი გოლები გაჰქონდა, ბევრი თვლიდა, რომ ჩვენს და იქაურ ფეხბურთს შორის განსხვავება აღარ არის. ის საუცხოო დრო იყო. „დინამოს" საუცხოო ფეხბურთელები, დიდი თაობა ჰყავდა. სხვა უნდოდა ქომაგს? „დინამო" იმარჯვებდა თავისი საუცხოო ფეხბურთელებით, მწყობრი თამაშით და აღარავის ახსოვდა, რომ იქაურ ფეხბურთსა და აქაურ ფეხბურთს შორის მაინც დიდი, დიდი განსხვავება იყო.

რატომ და იმიტომ, რომ ჩვენ მაინც საფეხბურთო გარეუბანში ვმოღვაწეობდით, იქ კი ამ დროს საფეხბურთო რევოლუციები ხდებოდა. მაგრამ ამისა ჩვენ არაფერი ვიცოდით. ამიტომ იყო, რომ ვამბობდით, სუპერთასზე „ლივერპული" დაგვემალა. დაგვემალებოდა, აბა, რა, შარშანწინ ხომ ბდღვირი ავადინეთო. ამიტომ იყო, რომ სიმონ ტაჰამატამ, ერიკ გერეცმა და არი ჰაანმა ჩვენს ნაწვალებსა და ნათამაშევს წყალი გადაასხეს. ამის მერე კი „სტანდარტი" სუპერგუნდი გვეგონა, მან კი ფინალი წააგო.

და მაინც, ის დიდი ზეიმის დღე იყო — გუნდიც საუცხოო გვყავდა, მაგრამ ის თასი, რატომ და რისთვის, არ ვიცი, დალმასვლის დასაწყისი გამოდგა. იმ 1981 წლის შემდეგ თბილისის „დინამოს" არანაირი ფასეული ტიტული არ ჰქონია.

რატომ?

იმ ბიამ თუ იცოდა. მას აშკარად ჩვენზე, გახარებულებზე და ბედნიერებზე მეტი გაეგებოდა.

ასე იყო ლამის ოცი წლის წინათ, მაისის მზიან დღეებში. აგერ, ოთხშაბათსაც თასთა თასის ფინალი იყო. ვფიქრობ, საოცარი, ჯიგრიანი, სწრაფი და ლამაზი. მოედანზე ვარსკვლავების თვლა ჭირდა, სამი ხელის თითები მაინც დასჭირდებოდა.

ახლა იქ მაინც სხვაა, სხვა თამაში და სხვა გაქანება.

ფეხბურთი

# გასავარდნთა განწამაწია

საქართველოს ჩემპიონატი

# 27 ტური

მეშვიდე წელია, ეროვნული ჩემპიონატები ტარდება და ასეთი ინტრიგა არავის ახსოვს. ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე მხოლოდ ჩემპიონი გაირკვა. დარჩენილ 25 მატჩში („დინამოს" ერთი გადადებული მატჩი აქვს „მარგვეთთან" სათამაშო) შეიძლება ყველაფერი მოხდეს. ახლაღა უნდა გაირკვეს ორი დანარჩენი პრიზიორი და სამი გავარდნილი გუნდი. უკვე მესამე წელია, პრიზიორობას პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება და ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების გარდა ევროტურნირების საგზურსაც იძლევა. თუკი თასის მფლობელი ან ფინალისტი პრიზიორთა შორის მოხვდნენ, ბუნებრივია, სასურველი საგზურისთვის მეოთხე ადგილზე გასვლაც იკმარეს. შესაძლოა, წელს ასე მოხდეს, რადგან უეჭველად თასების მფლობელთა თასზე გასული „ბათუმი" ჯერჯერობით მეორე ადგილზეა, თუმცაკი მდევართ — „კოლხეთსა" და „მერანს" მცირედით უსწრებს.

ლიდერთა და აუტსაიდერთა შორის წყალგამყოფის როლში ქუთაისის „ტორპედო" გამოვიდა, რომელმაც ევროპაში გასვლა ვერ შეძლო, მაგრამ მეხუთე ადგილი თითქმის გაინაღდა. ამისთვის მას ბოლო სამ ტურში ერთი მოგებაც ჰყოფნის. „ტორპედოს" სამგუნდიანი ზონა მოსდევს, რომელსაც პირველი წრის საშუალონი შეადგენენ. ცოტა ხნის წინ ამ ზონაში იმყოფებოდა „გურიაც", რომელმაც საშინაო წაგებებით საქმე გაირთულა და „ოდიშზე", „მარგვეთზე" და „დილაზე" ცუდ დღეში ჩავარდა. აშკარა აუტსაიდერი უდავოდ „ივერიაა", თუმცა ჯგუფში დარჩენის თეორიული შანსი ჯერ კიდევ აქვს. მისი ბედი, იოლი შესაძლებელია, „კახეთმაც" გაიზიაროს, რასაც სხვა გუნდზე გადაჭრით ვერ ვიტყვით.

ცხრილის ფსკერის ერთობ ამღვრეულობაში რომ ერთხელაც დავრწმუნდით, ქვედა ათეულის კალენდარს მოვიყვანთ. ამას თანვე დავურთავთ ჩვენს ვარაუდს დარჩენილ მატჩებში მოსაპოვებელი ქულების განაწილებაზე.

| გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | 18 მაისი | 23 მაისი | 30 მაისი | < | > |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 26 | 11 | 1 | 14 | 40:57 | 34 | თსუ | გურია | კახეთი | 37 | 40 |
| დილა | 27 | 9 | 7 | 11 | 26:30 | 34 | ბათუმი | ტორპედო | სამგურალი | 34 | 35 |
| სიონი | 27 | 9 | 5 | 13 | 26:36 | 32 | გორდა | ბათუმი | ტორპედო | 32 | 35 |
| თსუ | 27 | 8 | 8 | 11 | 35:37 | 32 | მარგვეთი | კოლხეთი | სამტრედია | 32 | 35 |
| გურია | 27 | 9 | 3 | 15 | 30:53 | 30 | დინამო | მარგვეთი | კოლხეთი | 33 | 36 |
| სამგურალი | 27 | 8 | 5 | 14 | 30:50 | 29 | ტორპედო | მერანი | დილა | 32 | 35 |
| სამტრედია | 27 | 8 | 3 | 16 | 25:52 | 27 | ივერია | ოდიში | თსუ | 30 | 33 |
| კახეთი | 27 | 10 | 1 | 16 | 27:53 | 26 | მერანი | დინამო | მარგვეთი | 29 | 32 |
| გორდა | 27 | 8 | 2 | 17 | 34:53 | 26 | სიონი | ივერია | ოდიში | 29 | 35 |
| ივერია | 27 | 5 | 6 | 16 | 21:51 | 21 | სამტრედია | გორდა | ბათუმი | 24 | 27 |

შინ | სტუმრად | < საბოლოო ქულათა მინიმუმი, > საბოლოო ქულათა მაქსიმუმი

### გურია 0:1 მერანი

ლანჩხუთი. ცენტრალური სტადიონი

**გურია:** ბაბაშვილი, ღურწკაია, თოლორდავა, კუკულაძე, ქიქავა (ყანჩაშვილი 46), ლაშა ყოლბაია (გ. სიდამონიძე 64), ცერცვაძე, განევი, გვიანიძე, გელაძე, გვარჯალაძე (პატარაია 46)

**მერანი:** დოლიძე, ივანიშვილი, ქველაძე, გოგიბერიშვილი, კაკუბავა, ქორიძე, ბ. კვარაცხელია (ლ. ამბიძე 67), გოგიტაძე, ბ. ამბიძე (დავითაშვილი 54), გოდერძიშვილი, მაზიაშვილი (ჯიშკარიანი 85)

0:1 დავითაშვილი (61)

**გაფრთხილება:** ცერცვაძე, ივანიშვილი, ლ. ამბიძე

**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

### ივერია 2:6 კოლხეთი

ხაშური. სტადიონი „გრიგოლ ჯომართიძე"

**ივერია:** გოგალაძე, ნეკრაშვილი (ბ. მელაძე 68), შ. ლაცაბიძე (ხმალაძე 68), გურამ ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, ზირაქაძე, ტყემალაძე, ჩადუნელი, კალმახელიძე, ნივწივაძე, თორია (ვეშაპიძე 46)

**კოლხეთი:** გოგუა, მიქაბერიძე, კაკაჩია, გიორგაძე, გოროზია, ლალანიძე, ტორჩინავა, დ. მახარაძე, ვ. გვასალია, დარასელია, მ. ქობულაძე

0:1, 0:2 მახარაძე (20, 35), 0:3 გვასალია (52), 1:3 ჩადუნელი (57), 1:4 მახარაძე (65), 2:4 ნივწივაძე (76), 2:5 მიქაბერიძე (79), 2:6 დარასელია (82)

**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

### სიონი 5:1 სამტრედია

ბოლნისი. სტადიონი „თემურ სტეფანია"

**სიონი:** დალაქიშვილი, მ. სამხარაძე, ვ. სამხარაძე (დ. ჯაფარიძე 61), ყიფშიძე, შაკიაშვილი, მოსეშვილი, ხოსროშვილი, ტარტარაშვილი, ე. ჯაფარიძე, ჯაგიდისი, ყაველაშვილი

**სამტრედია:** ჩაჩუა, ანჯაფარიძე, ვეკუა, ლორია, პაველიაშვილი, გ. ქელიძე, ფხაკაძე, ცომაია, მარკოზია, ივეჩიანი, დარსაძე

1:0 ე. ჯაფარიძე (3), 2:0 ჯაგიდისი (7), 3:0 მოსეშვილი (18), 4:0 ე. ჯაფარიძე (54 პ), 4:1 ივეჩიანი (64), 5:1 ე. ჯაფარიძე (75)

**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### კახეთი 3:2 სამგურალი

თელავი. სტადიონი „გივი ჩოხელი"

**კახეთი:** ასლანაძე, ე. ალადაშვილი, ჯიკაევი, ტარულაშვილი, მაზანაშვილი, ფოფხაძე, ჯაშიაშვილი, მესხიძე (ტოკლიკიშვილი 78), შონია, ბაბულაიძე (ქვრიტიძე 90), ლევინიაშვილი (ნაკუდაიძე 67)

**სამგურალი:** თევზაძე, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, კოლუაშვილი, გოგელიძე (დ. ჯანელიძე 63), ძაგნიძე, გელაშვილი, ფხაკაძე, გოჩა კვარაცხელია, ხურცილავა, ჯანაშია (თევდორაძე 74)

1:0, 2:0 მესხიძე (3, 16), 2:1 ძაგნიძე (18), 3:1 ბაბულაიძე (66), 3:2 გ. ჯანელიძე (78)

**გაფრთხილება:** ხურცილავა, ჯაშიაშვილი

**მსაჯი:** მ. კობიაშვილი (დუშეთი)

### ოდიში 3:1 მარგვეთი

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი

**ოდიში:** ნაყოფია, ვახანია, გურუა, ქურლულია, მიქაძე, კუტალია (იოსავა 87), ახვლედიანი, ჯოჯუა, ნიტაიშვილი, გაბედავა, კალანდაძე

**მარგვეთი:** მერკვილიშვილი, დ. ქელიძე, გურიელიძე, გაბრიჭიძე, ლონლაძე, კაციაშვილი, სულაკაძე (უგულავა 85), გენაძე, ლანჩავა (გუბელაძე 78), უკლება, მოსიკაშვილი

1:0, 2:0 გაბედავა (14, 68), 2:1 ლანჩავა (77), 3:1 ჯოჯუა (89)

გაბედავამ ვერ გაიტანა პენალტი (90)

**გაფრთხილება:** გაბრიჭიძე

**მსაჯი:** გ. ასკარ-ოღლი (ქარელი)

## შორი გზა

UEFA UNDER-18 Championship

საქართველოს 18 წლამდე ნაკრებს წინ დიდი გზა უდევს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში სამივე გასვლითი მატჩის გამართვა 9 დღეში მოუწევს. ასე, ხლბათ, ჩვენი ფედერაციის მოწადინებით, მოხდა, რადგან საბერძნეთი, მაკედონია და რუმინეთი ახლო-ახლოა და მათთან სტუმრობა-თამაში ეტყობა, ერთი გამგზავრებისას ირჩიეს.

**III ჯგუფის კალენდარი**

7 სექტემბერი: საქართველო — რუმინეთი, 24 სექტემბერი: საბერძნეთი — საქართველო, 28 სექტემბერი: მაკედონია — საქართველო, 2 ოქტომბერი: რუმინეთი — საქართველო, 22 ნოემბერი: საქართველო — მაკედონია, 26 ნოემბერი: საქართველო — საბერძნეთი

## დარასელია — მესამე ასიანი

კოლხმა გიორგი დარასელიამ, „ტორპედოსთან" მატჩში მიღებული მხრის ტრავმის მიუხედავად მაინც რომ თამაშობს, „ივერიასთან" ეროვნულ ჩემპიონატებში მეასე გოლი გაიტანა. მეასედ დარასელიამ ზუსტად ერთი წლის წინ შეარხია ქართული გუნდის კარის ბადე, მაგრამ ეს ჩემპიონატსა, თასსა, ნაკრებსა და ევროტურნირებში ერთად გატანილის ჯამი იყო. ამჯერად კი ძუკუმ მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში გატანილი გოლები გააასა და მესამეა ოთარ კორღალიძისა და მერაბ-მეგრელაძის შემდეგ ვინც ეს შეძლო.

## მარგვეთი - დინამო 28 მაისს

ორი კვირაც და მერვე ეროვნული ჩემპიონატიც ჩაგვიმთავრდება. ფეხბურთის ფედერაციამ როგორღაც მოახერხა და გადადებულ-დაგროვებული საპირველ თუ სამეორეწრეო შეხვედრებიდან „მარგვეთ" — „დინამოს" გარდა ყველა ჩაატარა. შეგახსენებთ, რომ XVII ტურის ეს მატჩი დიდთოვლობისა და თბილისი — გორის გზაზე შექმნილი შეფერხების გამო გადაიდო. ჩემპიონატის ბოლოს თბილისელებს მეტად დაძაბული კალენდარი აქვთ, თანაც 26 მაისს თასის ფინალი ელით, 30-ში კი ჩემპიონატი მთავრდება. წარდგენილი მრავალი ვარიანტიდან, სტუმარ-მასპინძელი საბოლოოდ 28 მაისზე შეჩერდა, ასე რომ, „დინამოს" ხუთ დღეში სამი თამაშის გამართვა მოუწევს.

## ფედერაცია ფხიზლად იქნება

სატურნირო ცხრილის ფსკერზე ბუნებრივად თუ ხელოვნურად, ისეთი დაძაბულობაა შექმნილი, მტრისას და ავისას. ვინ გავარდება, ერთმა ღმერთმა უწყის. ამ დაძაბულობამ ის მოიტანა, რომ კლუბები ჯგუფში დასარჩენად ყველა ღონეს ხმარობენ, ზოგ შემთხვევაში კი ყველაფერსაც კადრულობენ. ისიც ფაქტია, რომ ჩაწყობილმა მატჩებმა მეორე წრეში არნახულად იმატა. თუ ფეხბურთის ფედერაციას ვერწმუნებით, იქ ყველა სადაო თამაშის განხილვას აპირებენ და მკაცრ ზომებსაც მიიღებენ. ვნახოთ, რა და როგორ იქნება, მაგრამ ეს კი უეჭველია: ხვალინდელი, XXVIII ტურის ორი შეხვედრა, „სამგურალი" — „ტორპედო" და „გურია" — „დინამო" დიდ ინტერესს იწვევს. ეჭვობდნენ, ეს მატჩები მთლად ნაღდი ვერ იქნებაო და ფედერაციამაც შეისმინა, წყალტუბოში და ლანჩხუთში თამაშების სანახავად დელეგატთან ერთად ექსპერტთა ჯგუფიც ჩავა. როგორც გვითხრეს, კომისიები სამ-სამი კაცით დაკომპლექტდება. ყოველივე იმიტომ კეთდება, რომ სპორტული პრინციპი არ დაირღვეს და გუნდებმა ალალად იბრძოლონო. კომისია კარგია, მაგრამ შესაძლოა ამან საქმეს ვერც უშველოს, რადგან არ არის გამორიცხული, სტუმრებმა ლანჩხუთში და წყალტუბოში ბავშვები წაასხან.

## მეორე ჯგუფი

აღმოსავლეთი, XXXVI ტური

ლოკომოტივი — აკადემია 1:0, სამგორი — იბერია 3:5, დურუჯი — თორი 1:0, ცხინვალი — ავაზა 4:1, დინამო 2 — მესხეთი 1:0, არმაზი — ასკ 2:1, ჭაბუკიანი — თსუ 2 1:0, 35 სტუ — შირაქი 1:4, მორკინალი — ქინერი 6:1, კოდაკო — მრეტები 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მორკინალი | 34 | 28 | 5 | 1 | 84:9 | 89 |
| ლოკომოტივი | 34 | 26 | 7 | 1 | 71:9 | 85 |
| ცხინვალი | 34 | 23 | 2 | 9 | 69:35 | 71 |
| ასკ | 34 | 21 | 3 | 10 | 71:46 | 66 |
| დინამო 2 | 34 | 19 | 8 | 7 | 90:28 | 62 |
| აკადემია | 34 | 18 | 7 | 9 | 70:30 | 61 |
| კოდაკო | 34 | 17 | 8 | 9 | 53:41 | 59 |
| თორი | 34 | 18 | 4 | 12 | 44:48 | 58 |
| იბერია | 34 | 18 | 3 | 13 | 58:44 | 57 |
| არმაზი | 34 | 18 | 2 | 14 | 70:55 | 56 |
| შირაქი | 34 | 14 | 14 | 6 | 48:36 | 56 |
| თსუ 2 | 34 | 11 | 2 | 21 | 39:66 | 35 |
| 35 სტუ | 34 | 8 | 8 | 18 | 49:74 | 32 |
| მესხეთი | 34 | 9 | 3 | 22 | 45:74 | 30 |
| მრეტები | 34 | 7 | 7 | 20 | 35:59 | 28 |
| ჭაბუკიანი | 34 | 6 | 8 | 20 | 32:58 | 26 |
| დურუჯი | 34 | 6 | 7 | 21 | 21:76 | 25 |
| სამგორი | 34 | 8 | 4 | 22 | 39:78 | 23 |
| ქინერი | 34 | 7 | 5 | 22 | 40:109 | 21 |
| ავაზა | 34 | 2 | 5 | 27 | 27:80 | 11 |

დასავლეთი, XXX ტური

ოლიმპია — მერცხალი 2:0, მეშახტე — იმერეთი 4:1, მამისონი — ოდიში 2 0:3, სულორი — კოლხეთი 2 1:2, კახაბერი — სქური 1:2, მაღაროელი — სამეგრელო 5:2, ეგრისი — საპოვნელა 2:1, ტორპედო 2 — ბათუმი 2 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 28 | 25 | 0 | 3 | 88:21 | 75 |
| მერცხალი | 28 | 22 | 1 | 5 | 64:25 | 67 |
| მეშახტე | 28 | 22 | 1 | 5 | 67:22 | 67 |
| ოლიმპია | 28 | 15 | 2 | 11 | 60:45 | 47 |
| საპოვნელა | 28 | 13 | 7 | 8 | 51:36 | 46 |
| კოლხეთი 2 | 28 | 15 | 5 | 8 | 45:20 | 45 |
| სქური | 28 | 13 | 5 | 10 | 42:38 | 44 |
| სალხინო | 28 | 13 | 2 | 13 | 42:42 | 41 |
| იმერეთი | 28 | 12 | 3 | 13 | 49:51 | 39 |
| სამეგრელო | 28 | 11 | 6 | 11 | 55:57 | 39 |
| სულორი | 29 | 10 | 5 | 14 | 37:43 | 35 |
| ეგრისი | 28 | 11 | 6 | 11 | 35:35 | 34 |
| ბათუმი 2 | 28 | 9 | 5 | 14 | 34:40 | 32 |
| ოდიში 2 | 28 | 5 | 3 | 20 | 22:42 | 18 |
| ტორპედო 2 | 28 | 5 | 3 | 20 | 22:63 | 18 |
| მამისონი | 28 | 4 | 3 | 21 | 34:88 | 15 |
| კახაბერი | 29 | 4 | 3 | 22 | 28:104 | 15 |

## იაგორაშვილი ბავარიიდან ბავარიაში

გერმანიის რეგიონალლიგაში მოთამაშე „აუგსბურგმა" ერთი წლით გაუგრძელა კონტრაქტი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გამთამაშებელს მიხეილ საჯაიას. „აუგსბურგს" ვახტანგ იაგორაშვილის დატოვების სურვილი არ გამოუთქვამს, მაგრამ „კიკერის" ცნობით, მას რანგით დაბალ, ბავარიის ლიგაში მოუძებნის ახალ კლუბს.


ბავშვთა კვება



Gerber

ახალი სიცოცხლის

უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის ალიარებული

ლიდერის გერბერის პატარა ქილებში

თქვენი შვილების ბოლიათური ჯანმრთელობა

☎ 39-47-83

რედაქციაში უკვე ვხუმრობთ ჩალაძეზე: თუ „სკონტოში" სამ გოლს არ გაიტანს, გუნდიდან გაუშვებენო. ქართველი ლეგიონერი მართლაც მშვენივრად შეეწყო ლატვიის ჩემპიონატს და პირველსავე ორ მატჩში ექვსი გოლი გაიტანა. ახლა, ორი ტური უგოლოდ რომ ითამაშა, „სკონტოდან" მის გაშვებაზე მართლა ალაპარაკდნენ, ოღონდ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს უგოლო მატჩები აქ არაფერ შუაშია, ჩალაძე ნელ-ნელა ყალიბდება იმ მოთამაშედ, ნაკრებისკენ სავალ გზას რომ სერიოზულად ადგას. ავსტრიული კლუბების მისით დაინტერესებაც ამის დასტურია. „სკონტომ" მოსამზადებელი ეტაპი ავსტრიაში გაიარა, სადაც ორჯერ „აუსტრიაც" „შემოემარცხა" და ჩალაძითაც ალბათ მაშინ დაინტერესდნენ იქაურები. ავსტრია ინგლისი და გერმანია არაა, მაგრამ ლატვიას ნაღდად სჯობს, თანაც შუაგულ ევროპაში თამაში ოსტატობის დახვეწის პირდაპირი შემდეგ გზაა ბოლოს ქვეყნის საფეხბურთო კლუბისკენ.

# დავით ჩალაძე: ლიგა ისეთი რამაა



— როგორც მითხრეს, ავსტრიის სამი საუკეთესო კლუბიდან ერთ-ერთს უსურვებია ჩემი მიწვევა — ეს ან „ტიროლია", ან "რაპიდი", ანაც „აუსტრია". ჩემი მენეჯერი ჯერ კონკრეტულად არაფერს ამბობს. ისე, ჩემთვის სულერთია, რადგან ავსტრიაში, თანაც ძლიერ გუნდში გადასვლის პერსპექტივა ძალზე მხიბლავს.

**— „სკონტო" კი ჩემპიონობისკენ მიიწევს, რამდენიმე კვირაში ჩემპიონთა ლიგისაკენ სავალ გზასაც დაადგება.**

— მართალი გითხრა, მეც მაინცდამაინც ამიტომ არ ვაქტიურობ, სასწრაფოდ გამიშვით-მეთქი. მინდა, ჩემი ძალები ჩემპიონთა ლიგაშიც მოვსინჯო. თუ კარგად ვითამაშე, ჩემი კარიერისთვისვე არ იქნება უკეთესი?

**— კი მაგრამ, პირველ ორ ტურში გატანილი ექვსი გოლის მერე როგორღა მოხდა, რომ ჩემპიონატის მომდევნო ორ მატჩში უგოლოდ დარჩი?**

— არ ვიცი... ინგლისიდან ჩასვლის მერე რაღაც უიღბლობა დამეწყო, ზედიზედ ორ მატჩში გოლი კი არა, ერთი საგოლე პასიც კი ვერ გავაკეთე. არადა, სამი ისეთი ნაღდი საგოლე მომენტი მქონდა რიგის „უნივერსიტეტთან"... თუმცა, 3:0 მაინც მოვიგეთ. მეორე მატჩშიც, ივანე ჯუღელის ლიეპაიას „ბალტიკასთან", 2:0 გავიმარჯვეთ, მაგრამ კვლავ ვერ გავიტანე. მოკლედ, მაგრად დავითარსე.

**— ძალიან განიცადე ნაკრებში უთამაშებლობა?**

— დამეთანხმები, ფეხბურთელისთვის ძალიან ძნელია თამაშის შორიდან ყურება.

**— „ჩარლტონის" ტრიბუნიდან როგორი ჩანდა ჩვენი ბიჭების თამაში?**

— ჩინებულად ითამაშეს. ორი წელია ნაკრებში ვარ და ჩვენი გუნდის ასეთი კარგი თამაში არ მახსოვს. განსაკუთრებით მცველები მოქმედებდნენ ძლიერად. საერთოდ, ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ ქულა სწორედ დაცვის ჩინებული თამაშის წყალობით მოვიპოვეთ, ამაში კი ჩემი გუნდელისა და მეგობრის ლევან სილაგაძის დიდი წვლილიცაა. მე მას მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დავასახელებდი.

**— ანგარიში შეესაბამება თამაშს?**

— საერთო შედეგი უდაოდ ლოგიკური იყო, ანგარიში კი ალბათ 1:1 უფრო უპრიანი იქნებოდა. ჩვენებსაც ჰქონდათ საგოლე მომენტები და გვარამაძემაც ერთი-ორჯერ გვიხსნა.

**— ინგლისელთაგან ვინ მოგეწონა?**

— სწორედ ის ზანგი ჰესკი, სილაგაძემ რომ ჩაკეტა. ეგ რომ დარჩენილიყო... თუმცა, მის ნაცვლად შემოსულმა ჰაკერბიმ გადამრია — ქარივით დაქროდა, ტექნიკურიც იყო. ინგლის-იტალიის ახალგაზრდულების ჩანაწერი რომ ვნახეთ, ყველაზე მეტად სწორედ ჰაკერბი დაგვამახსოვრდა.

**— ნაკრებში ბოლო წუთამდე არც იყავი...**

— „სკონტოს" ხელმძღვანელობამ ადრევე გვითხრა, რომ მე და ლევანი ვიყავით გამოძახებული საინგლისოდ. მერე მამაჩემმა დამირეკა თბილისიდან და შევიტყვე, რომ სიაში არ ვიყავი. ამ გაურკვევლობას ბოლო მაშინ მოეღო, როცა ლონდონში გავფრინდი, თუმცა, როგორც გაირკვა, ლამის მხოლოდ ტურისტად. სხვანაირად არ მინდა გამომივიდეს, მაგრამ უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ — ჩვენებმა ღირსეულად ითამაშეს და მომავალ ინგლისის ნაკრებთან ქულა აიღეს. მარტო ლონდონის ნახვა რად ღირდა... თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სკამს შევეგუე. გუნდშიც იმიტომ ვთამაშობ და უცხოეთში წასვლაც იმისთვის მინდა, რომ ნაკრებს გამოვადგე. ვიცი, თუ გვარიანად ვიშრომებ, უყურადღებოდ არ დამტოვებენ. ჩემს თავშიც დარწმუნებული ვარ. მოკლედ, ნაკრებში ალბათ, უახლოეს მატჩებში ვითამაშებ, თუკი, რასაკვირველია, კლუბში თავს გამოვიჩენ.

**— ახლა რა მდგომარეობაა ლატვიაში?**

— ჩემპიონატის ხუთმა ტურმა განვლო და ლიდერები ვართ. მეორე ადგილზე ქართველებითვე დაკომპლექტებული და ჩვენგან ძლეული „ვენდსპილიაა". ოთხ თამაშში 12 გოლი გავიტანეთ და საკუთარში ჯერ არ მიგვიღია. მოკლედ, ისე ვართ ლატვიაში, როგორც თბილისის „დინამოა" საქართველოში. რაც შეეხება ჩვენი ჩემპიონატის დონეს, აქაურ ჟურნალისტთა თქმით, წელს ძალზე ამაღლებულა. თუ იმავე ჟურნალისტებს დავუჯერებთ, ამაში ლომის წილი სწორედ ქართველებმა დავიდეთ. თავად განსაჯეთ, ჩვენი „სკონტო" ახლა უპირობო ლიდერია, მე საუკეთესო ბომბარდირი ვარ, „ვენდსპილი", სადაც ჯელაძე, წერეთელი, გრიშიკაშვილი და პერტია გამოდიან, მეორე ადგილზეა, ივანე ჯუღელიც „ბალტიკას" წამყვანი მოთამაშეა და უკვე ორი გოლიც შეაგდო...

**— ჩვენი და მათი გუნდები რომ შევადაროთ?**

— ქართული და ლატვიური გუნდების უმრავლესობა რომ შევადაროთ, ბალტიისპირელებს უდაო უპირატესობა აქვთ — ფული, ბაზები, სპონსორები, სტადიონები, სხვა წვრილმანი უმაღლეს დონეზეა, ყოველ შემთხვევაში, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ამდენად, მათი გუნდების უმრავლესობა, ლიდერებს არ ვგულისხმობ, სჯობს ჩვენსას, რაც პირველ რიგში კარგი საყოფაცხოვრებო თუ პროფესიული პირობებითაა განპირობებული. ნელ-ნელა ლეგიონერებიც ჩამოჰყავთ, ახლახან რომელიღაც მოსკოვის სპარტაკელი ჩამოიყვანეს, რუსეთის სხვა გუნდებიდანაც ჩამოდიან.

**— თასზე რას შვრებით?**

— მერვედფინალში პირველლიგელ „ოფრისს" 5:0 ვძლიეთ და აქაც ორი გოლი მე შევაგდე. თასის ფინალი 17 ივნისსაა არის და ხელმძღვანელებამ დუბლი დაგვიგეგმა.

**— ძოძუაშვილი კვლავ „სკონტოშია"?**

— კვლავაც კონსულტანტია და სტარკოვი ხშირად სთხოვს რჩევას. მას შემდეგ, რაც ძოძუაშვილის ჩაყვანილმა რვავე ფეხბურთელმა გაამართლა, ბატონი რეზოს აქციებმა ძალზე აიწია. ახლა იგი უდიდესი პატივისცემით სარგებლობს ლატვიაში.

**— მაშ, მალე ავსტრიაში წახვალ?**

— წესით უკვე იქ უნდა ვყოფილიყავი. ინგლისის მერე ქართველმა მენეჯერმა ილო კოკაიამ მითხრა, ორ დღეში ვენაში იყავიო. გუნდის ხელმძღვანელთა თხოვნით, ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ მატჩამდე დავრჩები. მათ მინიმუმ პირველი ეტაპის გადალახვა დაგვიგეგმეს. ჩემპიონთა ლიგა კი ისეთი რამაა, ვგრძნობ, მხოლოდ ამის გულისთვის ღირს დარჩენა. თუ კარგად ვითამაშე, წინადადებები სად გამექცევა...

**მამუკა ძგარაცხელია**

# ჩვენი იაშკა ჩვენთან...

ჩარლტონში ინგლის–საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების თამაშის მერე [illegible] რომ ვესაუბრე, ჩვენების ავტობუსისკენ გავქანდი. ვეღარ მივასწარი. სასტუმროში დავრეკე, მაგრამ სასტიკი უარი განმიცხადეს, აქ ქართველი არავინ ცხოვრობსო. მეტი ღონე აღარც მრჩებოდა, რამდენიმე საათში „უემბლი" გველოდა. მართლაც, ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე წევრი „უემბლის" ტრიბუნაზე ვნახე და გამოველაპარაკე, იაშვილს კი თვალი ვერსად მოვკარი, ან სად უნდა დამენახა, როცა „ჩარლტონ ათლეტიკის" სტადიონიდანვე წაუყვანიათ გერმანიაში „ლიუბეკის" მენეჯერს და მწვრთნელ კიორბელის ასისტენტს, რომლებიც გუნდმა სწორედ იაშკას გამო მიავლინა ლონდონში. თბილისში ჩამოსვლის მერე იაშვილს ტელეფონით შევეხმიანე.

**— მხოლოდ მეხუთე დღეს უნდა გეთამაშათ „გიუტერსლოსთან" და „ლიუბეკის" ხელმძღვანელობამ ერთი დღე რატომ არ გაცალა „უემბლიზე" დასაჯდომად?**

— ჩამოვიდნენ თუ არა, მითხრეს, დღესვე უნდა წავიდეთ, უშენოდ შინ წავაგეთ „ლაიპციგთან", სამი ოქროს ქულა დავკარგეთ, დაყოვნების დრო აღარ არისო. ლაიპციგელებს ერთხელ დაურტყამთ ჩვენს კარში და ბედი არ გინდა — გოლი გასულა... თუმცა „გიუტერსლოსთანაც" დავმარცხდით 1:3.

**— შემდეგი მატჩი შინ მოგიგიათ ესენის „როტვაისთან"...**

— ესენელები ჩვენი უშუალო კონკურენტები იყვნენ და ამ თამაშს ჩვენთვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. პირველივე წუთებზე გაშვებული გოლის მერე, მეორე ტაიმის ოც წუთში სამი გოლი შევაგდეთ. მესამე მე გავიტანე და როგორც იქნა, გავტეხე ნავსი. ის მატჩი 3:2 მოვიგეთ და ახლა 30 ქულით ბოლოდან მეოთხე ადგილზე ვართ, თუმცა, წინ ხუთი ტურია. იმედი მაქვს, აწი გოლებსაც გავიტან და ქულებსაც იმდენს დავაგროვებთ, მეორე ბუნდესლიგას რომ შევრჩეთ...

**— ტურის სიმბოლურ ნაკრებში ამ მატჩის მერე შეგიყვანეს?**

— იმ თამაშში „კიკერმა" ორიანი დამიწერა და ტურის ნაკრებშიც მეორედ მოვხვდი.

**— შემდეგი მატჩი ვისთან გაქვს?**

— ლიდერ „კაიზერსლაუტერთან", რომელმაც პრაქტიკულად გაინაღდა ბუნდესლიგაში გადასვლა და ამის ოფიციალურად გასაფორმებლად სამი ქულაღა სჭირდება ხუთ ტურში. ჩვენ ჩვენი გაჭირვება გვქვს და გვინდა, ქულა წამოვიღოთ. აქ ნაღდი მოგება არავის უჭირავს ხელში და ჩვენც 18 მაისს საბრძოლველად მივდივართ ლიდერთან. ეს ქულა აუცილებლად გვჭირდება.

**— ვთქვათ, აიღეთ ქულა, ლიგაში დარჩენის რა შანსი აქვს „ლიუბეკს"?**

— 25 მაისს შინ ჩვენს კონკურენტ „ოლდენბურგს" ვეთამაშებით. მერე ორი გასვლა გვაქვს და ბოლო მატჩს 11 ივნისს ისევ შინ ვითამაშებთ „ვალდჰოფ მანჰეიმთან," რომელთანაც ახლა ბოლოდან მეოთხე-მეხუთე ადგილებს ვიყოფთ. მათ ორი ქულით მეტი აქვთ და თუ სეზონის ბოლოს ასე მივატანეთ, სწორედ ბოლო მატჩი აღმოჩნდება გადამწყვეტი.

**— თუ დარჩით, ისეთი პირი უჩანს, „ლიუბეკი" შენს დატოვებს მოინდომებს და არა ერთი წლით...**

— მართალი გითხრა, დარჩენა მეც ძალიან მინდა, რადგან შევეგუე აქაურობას, აქაურ ფეხბურთსაც შევეწყვე და ვთვლი, რომ ამ ეტაპზე აქ უფრო მეტად ავიმაღლებ კლასს. თუმცა, ეს ყველაფერი ჩემი გასდასაწყვეტი არაა. მერაბ ჟორდანიამ ამასწინათ დარეკა ჩემთანაც, კლუბშიც და ამზე ჩემზე უკეთ ის მოგახსენებთ.

**— გერმანული ისწავლე?**

— საფეხბურთო გერმანული უკვე დიდი ხანია ავითვისე, რაც შეეხება საურთიერთობო ენას, ძირითადად ინგლისურად ვსაუბრობ.

**— ახლა ნაკრებს დავუბრუნდეთ და ინგლისთან მატჩი გავიხსენოთ.**

— პირველ ტაიმში თანაბარი თამაში იყო. საგოლე მომენტები ჩვენც გვქონდა და იმათაც. აი, მეორე ტაიმში კი ნაღდად გვაჯობეს, გვაჯობეს ძირითადად უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე.

**— ახლა შენი ორი ძელსგარტყმული ბურთი გავიხსენოთ.**

— პირველ მომენტში მარჯვნიდან შევიჭერი და კუთხე ძალზე მახვილი იყო, მეორედ კი ნაღდი გოლი მეგონა. ფოცხვერიამ ჩინებული პასი მომცა, დავარტყი და ვხედავ, ბურთი შიგ ცხრიანში მიფრინავს, მეკარემ რაღაც არაბუნებრივად აიქნია მხარი და ეს მოძრაობა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბურთს მიმართულება შეეცვალა და ძელს მოხვედროდა. ლამის გავგიჟდი — გერმანიაში არ მეყოფა ძელების მტვრევა-მეთქი?

**— შენს ახალ პარტნიორ ფოცხვერიაზე რას იტყვი?**

— მე ძირითადად დემეტრაძესთან ვთამაშობდი „დინამოში" და ნაკრებშიც. უნდა ვაღიარო, რომ ფოცხვერია ჩინებული პარტნიორია, ძალზე ფართო დიაპაზონის ფეხბურთელი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს წარმატებაში.

**— „ლიუბეკს" რამდენიმე ლეგიონერი ჰყავს, მაგრამ შენს გარდა არავინ თამაშობს. რა არის ამის მიზეზი?**

— მაჟეიკისის ამბავი იცით — სეზონის ბოლომდე გამოგვაკლო უმძიმესმა ტრავმამ. დანიელ ლარსენს კი მოუშუშდა ტრავმა, მაგრამ შემადგენლობაში ვერ ხვდება. რაც შეეხება ჩემს მეგობარს, უნგრელ კაროი სანიოს, ისიც მომჯობინდა, მაგრამ მწვრთნელი აწყობილ შემადგენლობას აღარ ცლის.

**მამუკა ძგარაცხელია**



ლიუბეკის მწვრთნელი კიორბელი იაშვილთან და სანიოსთან


იყიდება სასწრაფოდ

3-ოთახიანი ჩეხური პროექტის კუთხის ბინა დიდ დიღომში

ფასი 7 500 დოლარი

66 48 12

იყიდება

4-ოთახიანი ტიპიური სუფთა ბინა

დიღმის მასივში, III კვარტალში. დიდი სარდაფით, ტელეფონით.

საწყისი ფასი 25 000 დოლარი

72 37 22

## იტალია

### XXXI ტური

**ატალანტა 0:4 რომა**
0:1 დი ბიაჯო (17), 0:2 ბალბო (22), 0:3 ტოტი (71), 0:4 ტერნი (77)

**კალიარი 4:1 ფიორენტინა**
1:0 მუცი (14), 1:1 ოლივეირა (34), 2:1 სილვა (35), 3:1 ლოვნსტრუპი (36), 4:1 ლოვნსტრუპი (45)

**ინტერი 3:1 რეჯანა**
1:0 ინსი (43), 2:0 განცი (60), 2:1 გალი (66), 3:1 ინსი (90)

**იუვენტუსი 4:1 პიაჩენცა**
1:0 ზიდანი (51), 2:0 ვიერი (53), 2:1 ლუიზო (55), 3:1 იუგოვიჩი (78), 4:1 ვიერი (87)

**ლაციო 3:2 ნაპოლი**
0:1 აიალა (10), 1:1 კაზირაგი (24), 2:1 ფუზერი (37), 2:2 ბეტი (66), 3:2 ფუზერი (71)

**პარმა 1:1 მილანი**
1:0 კიეზა (6), 1:1 ალბერტინი (71 პ)

**პერუჯა 5:1 ბოლონია**
1:0 ნერი (24), 2:0 ნერი (59), 3:0 კასტელინი (72), 3:1 სკაპოლო (75 პ), 4:1 რუდი (81), 5:1 ნერი (90)

**უდინეზე 3:0 ვერონა**
1:0 პოჯი (33 პ), 2:0 პოჯი (53), 3:0 ბირჰოფი (86)

**ვიჩენცა 1:1 სამპდორია**
0:1 მანჩინი (1), 1:1 ამბროზეტი (3)

**ტურიში გატანილი 36 გოლი მიმდინარე სეზონში სარეკორდოა, თუმცა ყველა დროის საუკეთესო შედეგს 12-ით ჩამორჩება.**

# ხვალ თუ არა, შემდეგ

ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში კარლო ანჩელოტი და მისი „პარმა“ „იუვენტუსთან“ მეტისმეტად ახლოს იყვნენ. აქეთ, პარმაში, ენრიკო კიეზას მიერ პირდაპირ ჯარიმიდან, თამაშის დაწყებისთანავე გატანილი გოლით მასპინძლები „მილანს“ უგებდნენ, იქით ტურინში კი „ბებერი ქალბატონი“ „პიაჩენცას“ ვერ ჯობდა, 0:0 იყო.

ტურინში ერთი უცნაური ამბავი ხდებოდა, „ზებრათა“ ძირითადში არ იყო სათამაშო ფანტაზიის გენერატორი, ფრანგი ზინედინ ზიდანი, რომლის ნაცვლად ბოლო ათი კვირის მანძილზე პაციენტად ქცეული ალესანდრო დელ პიერო თამაშობდა. არც დელ პიეროს, ესწავლება იმპროვიზაციით მეტოქის მცველთა დაწიოკება, მაგრამ როგორც ჩანს ტრავმამ დაღი დაასვა და ახლა, ფორმის აღსადგენად დრო სჭირდება. ასეა თუ ისე, შესვენების შემდეგ მოედანზე ზიდანის შესვლამ ნაყოფი გამოიღო. კართა შეცვლიდან ხუთიოდ წუთის შემდეგ მან თანამემამულის, დიდიე დეშამპის კარგი პასით ანგარიში გახსნა და იმ საღამოს დოლში თავისი გუნდი „პარმას“ დააწია. ამის მერე, წამზომმა მეორე გოლამდე მხოლოდ ორი შემორბენა მოასწრო — ანჯელო დი ლივიოს ჩაწოდებულს კრისტიან ვიერიმ მიუჩინა მეტოქის კარში ადგილი. ბურთის ბადეში ყოფნა ისე მოეწონა, რომ დიდხანს არც ვიერის გოლის შემდეგ დააყოვნა, თან, იქითა ბადესაც გავუსინჯავ გემოსო და პასკუალე ლუიზოს შეხება კვლავ კარში შესავარდნად გამოიყენა.

71-ე წუთზე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მილანელი სტეფანო ერანიო „პარმას“ საჯარიმოში წააქციეს და არბიტრმა პენალტი დანიშნა. ზუსტად დარტყმა დემეტრიო ალბერტინიმ ითავა. სიტყვა და საქმე ერთი იყო. საღამოს დოლში პარმელები ტურინელებს ჩამორჩნენ.

იქ ტურინში ვლადიმირ იუგოვიჩმა გაზარდა ანგარიში, თამაშის დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე კი ვიერიმ ჯარიმიდან მეოთხე შააგდო.

ახლა, „იუვენტუსსა“ და „პარმას“ შორის სხვაობა ექვსი ქულაა. დარჩენილია სამი ტური, რომელთაგან უახლოესი ანუ ხვალინდელი შესაძლოა გადამწყვეტიც აღმოჩნდეს, რადგან სკუდეტოს მოცილეები პირისპირ წარსდგებიან, ერთმანეთს თვალს თვალში გაუყრიან და... თუ „იუვემ“ გაიმარჯვა დაარსების ასი წლისთავზე 24-ედ მოიპოვებს იტალიის ჩემპიონის ტიტულს, „პარმას“ მოგების შემთხვევაში კი ლიდერსა და მდევარს შორის სხვაობა შემცირდება, რაც ბოლო ორ ტურს საგანგებოდ დაძაბავს.

„ბებერ ქალბატონს“ უახლოეს ხანს კიდევ ერთი დიდი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი. 28 მაისს, მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე ჩემპიონთა თასის ფინალში მას დორტმუნდის „ბორუსია“ ელის. იმ შეხვედრაში ტურინელები შეეცდებიან ზედიზედ მეორედ მოიპოვონ ევროპული საკლუბო ფეხბურთის უმნიშვნელოვანესი ჯილდო.



პარმა — მილანი. მილანელმა კოკომ პარმელ ზე მარიას ღრუბლებთან აჯობა

— „პარმასთან“ ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა, ჩემპიონთა თასის ფინალი კარსაა მომდგარი... ამ წუთას ეს საკითხებია უმთავრესი და მე მათზე ვფიქრობ — უთხრა ჟურნალისტებს „პიაჩენცასთან“ შეხვედრაში ორი გოლის ავტორმა, 23 წლის კრისტიან ვიერიმ, რომელსაც წლეულს დიდებული სეზონი აქვს, „სკუადრა აძურაშიც“ ჩინებული დებიუტი მოიწყო და კლუბშიც გოლს გოლი მიაყოლა.

განა სხვა რა საზრუნავი უნდა ჰქონდეს ვიერის? საქმე ის გახლავთ, რომ მადრიდის „ატლეტიკომ“ მასში „იუვენტუსს“ 17 მილიონი დოლარი შესთავაზა, თავად ფეხბურთელს კი წელიწადში მილიონი აღუთქვა.

„ტუტოსპორტისა“ და „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით „ზებრათაგან“ მხოლოდ ვიერის როდი ჰყავს მყიდველი.

— ვიმედოვნებ, რომ დელ პიერო „იუვენტუსში“ დარჩება, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ თუკი არსებობს 21 მილიონი დოლარის გადამხდელი, კლუბს ამ წინადადების სერიოზული აწონ-დაწონვა მართებს — ეს სიტყვები „ბებერი ქალბატონის“ საპატიო პრეზიდენტს, ანიელთა ოჯახის წარმომადგენელს, უმბერტო ანიელის ეკუთვნის. შეგახსენებთ, ანიელთა ოჯახი საქვეყნოდ ცნობილი საავტომობილო კონცერნის „ფიატის“ ძირითადი მფლობელია და შესაბამისად „იუვენტუსის“ მეპატრონეც გახლავთ.

— ფაქტი ერთია, მე აქ დარჩენა მსურს — განაცხადა თავად ალესანდრომ, რომელსაც ხმათა თანახმად ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედის“ გარდა ბევრი სხვა მდიდარი ევროპული კლუბიც ეპატიჟება.

მაშ ასე, კვირას „იუვენტუსი“ — „პარმაა“. ანჩელოტის გუნდს მოგება სჭირდება და არა მხოლოდ სკუდეტოსთან გასათამაშებლად, არამედ იმიტომაც, მეორე ადგილი რომ არ დაკარგოს. დიახ, „მილანთან“ ფრემ „პარმას“ ერთობ გაურთულა საქმე, რადგან „ინტერმა“ „რეჯანასთან“ 3:1 მოიგო. მართალია მილანელებს პირველი ტაიმის ბოლომდე ერთობ გაუჭირდათ, მაგრამ თავისას მაინც მიაღწიეს. ორი გოლი ინგლისის ნაკრების წევრმა პოლ ინსმა გაიტანა. ინსი მართლაც დიდებულ ფორმაშია, თუმცა მომავალი სეზონიდან კვლავ „ინტერში“ დარჩება თუ ალბიონს დაუბრუნდება, ჯერ არ გადაუწყვეტია.

ლიგაში დარჩენის იმედი „კალიარის“ გაუღვივდა. „ფიორენტინასთან“ 4:1 გამარჯვება ხუმრობა ხომ არაა. პირველი ტაიმის შუიდან კაცნაკლულად დარჩენილ „ბოლონიას“ კი „პერუჯამ“ მოუღო ბოლო, 5:1 სძლია და სარდინიელთა დარად მომავალი სეზონიდან კვლავ სერია A-ში თამაშს ვარაუდობს.

რაც 74 წლის შვედი ნილს ლიდჰოლმი ჩაუდგა სათავეში, „რომას“ თამაში ვერ მოეგო, სამაგიეროდ პირველი გამარჯვება აღმოჩნდა მადლიანი — 4:0 „ატალანტასთან“. დედაქალაქის მეორე გუნდმა „ლაციომ“ კი „რომასთან“ საზიარო ოლიმპიურ სტადიონზე „ნაპოლის“ აჯობა 3:2.

დაღონებულია ნეაპოლელთა ბოსი კორადო ფერლანიო. ათი წელიწადია, რაც „ნაპოლის“ ქვეყნის ჩემპიონობა აღარ მოუპოვებია და მასაც სხვა რა გზა აქვს, 1987 წლის წარმატების იუბილეს მართავს.

— იმ პერიოდის უდიდესი ნოსტალგია მაქვს. ახლა ისეთივე შედეგის გამეორება მეტისმეტად ძნელია — განუცხადა ფერლანიომ „გაძეტა დელო სპორტს“ — დღეს გათამაშების ცხრილი კლუბთა ეკონომიკურ სიძლიერეს ასახავს. ძველი დრო რომ იყოს რონალდოს ვიყიდიდი, როგორც მაშინ მარადონა ვიყიდე, ახლა კი... ვეძებ ვარსკვლავს, რომელიც 10 ლირა ეღირება.

როგორც ჩანს ფერლანიო ჯერ კიდევ ხუმრობის ხასიათზეა, საამისო საბაბს კი ალბათ იტალიის თასის ფინალისტობა აძლევს, სადაც „ნაპოლის“, პირველ შეხვედრაში, „ვიჩენცასთან“ 1:0 აქვს მოგებული.

**პაპუნა ძელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 31 | 17 | 11 | 3 | 47:20 | 62 |
| პარმა | 31 | 16 | 8 | 7 | 37:24 | 56 |
| ინტერი | 31 | 14 | 12 | 5 | 45:30 | 54 |
| ლაციო | 31 | 14 | 8 | 9 | 46:32 | 50 |
| უდინეზე | 31 | 13 | 9 | 9 | 46:37 | 48 |
| ბოლონია | 31 | 13 | 8 | 10 | 48:41 | 47 |
| სამპდორია | 31 | 12 | 10 | 9 | 51:42 | 46 |
| ვიჩენცა | 31 | 11 | 10 | 10 | 41:37 | 43 |
| მილანი | 31 | 11 | 9 | 11 | 41:40 | 42 |
| რომა | 31 | 10 | 10 | 11 | 45:41 | 40 |
| ფიორენტინა | 31 | 9 | 13 | 9 | 40:38 | 40 |
| ატალანტა | 31 | 10 | 9 | 12 | 39:44 | 39 |
| ნაპოლი | 31 | 8 | 13 | 10 | 33:40 | 37 |
| კალიარი | 31 | 8 | 9 | 14 | 40:50 | 33 |
| პიაჩენცა | 31 | 6 | 15 | 10 | 26:39 | 33 |
| პერუჯა | 31 | 8 | 7 | 16 | 41:59 | 31 |
| ვერონა | 31 | 6 | 8 | 17 | 35:57 | 26 |
| რეჯანა | 31 | 2 | 13 | 16 | 27:57 | 19 |

## სერია B

34-ე ტური: ბარი — ლუკეზე 0:0, ბრეშია — ლეჩე 0:0, დი სანგრო — ტორინო 2:1, ჩეზენა — ფოჯა 2:2, კიევო — რეჯინა 1:1, კოზენცა — ვენეცია 2:2, კრემონეზე — პალერმო 2:2, ემპოლი — პესკარა 0:0, ჯენოა — პადოვა 2:1, სალერნიტანა — რავენა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეშია | 34 | 16 | 10 | 8 | 43:31 | 58 |
| ემპოლი | 34 | 15 | 12 | 7 | 41:31 | 57 |
| ლეჩე | 34 | 14 | 14 | 6 | 48:36 | 56 |
| ჯენოა | 34 | 13 | 14 | 7 | 50:28 | 53 |
| ბარი | 34 | 12 | 16 | 6 | 43:31 | 52 |
| ტორინო | 34 | 13 | 10 | 11 | 42:39 | 49 |
| პესკარა | 34 | 12 | 12 | 10 | 42:34 | 48 |
| რავენა | 34 | 13 | 11 | 10 | 36:30 | 47 |
| კიევო | 34 | 10 | 17 | 7 | 37:34 | 47 |
| ფოჯა | 34 | 11 | 12 | 11 | 37:36 | 45 |
| პადოვა | 34 | 10 | 14 | 10 | 37:37 | 44 |
| ვენეცია | 34 | 9 | 15 | 10 | 40:39 | 42 |
| სალერნიტანა | 34 | 9 | 13 | 12 | 28:37 | 40 |
| დი სანგრო | 34 | 11 | 7 | 16 | 26:40 | 40 |
| რეჯინა | 34 | 9 | 12 | 13 | 31:39 | 39 |
| ჩეზენა | 34 | 8 | 13 | 13 | 34:38 | 37 |
| ლუკეზე | 34 | 8 | 13 | 13 | 27:39 | 37 |
| კოზენცა | 34 | 8 | 11 | 15 | 37:50 | 35 |
| პალერმო | 34 | 5 | 17 | 12 | 34:45 | 32 |
| კრემონეზე | 34 | 7 | 11 | 16 | 25:44 | 32 |

**რუმინეთის** ფეხბურთის მამებმა ბუქარესტის „დინამო“ 20 ათასი დოლარით დააჯარიმეს, ხოლო კლუბის სტადიონს 1 400 დოლარის გადახდა დააკისრეს. ამ დღეებში დაუძინებელ მტერ „სტიაუასთან“ შეხვედრამდე „დინამოს“ ფანებმა სტადიონის დაახლოებით 700-მდე სკამი გადაწვეს. პოლიციამ 59 დამნაშავე დააკავა. გარდა გადასახადისა, ფედერაციის ბრძანებით, „დინამო“ უახლოეს სამ საშინაო მატჩს ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაატარებს.

**გერმანიის ნაკრების რეკორდსმენმა საერთაშორისო მატჩების მიხედვით, ლოთარ მათეუსმა, ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და როსტოკის „ჰანზასთან“ მეტად პრინციპულ შეხვედრაში გამოაკლდება „ბაიერნს“. მიუნხენელთა გუნდის წარმომადგენელი მარკუს ორვიკის თქმით, მათეუსის უახლეს დღეებში მომჯობინებაზე საუბარი ნაადრევია, რადგან საფუძვლიანი გამოკვლევა სჭირდება.**

**მოლდოვას** თასი მოიგო კიშინიოვის „ზიმბრუმ“, რომელიც ჩემპიონატსაც ლიდერობს. უგოლო ფინალური მატჩის შემდეგ გუნდებმა პენალტებით გაარკვიეს გამარჯვებულის ვინაობა. „ზიმბრუმ“ 8:7 მოუგო ოტაჩის „დნისტრუს“ და პირველად მოიგო ქვეყნის თასი მაშინ, როცა ჩემპიონატში ზედიზედ ექვსჯერ იმარჯვა.

**უელსის ნაკრები 27 მაისს კილმარნოკში შოტლანდიას ამხანაგურად ეთამაშება. უელსელთა მწვრთნელმა ბობი გულდმა ნაკრებში სამი ჯოუნზი გამოიძახა. მათ შორის ერთ-ერთია ის, ვინც კარდიფში საქართველოსთან მატჩში გააძევეს. დანარჩენი ორი ჯოუნზი „სტოკპორტიდან“ და „ლივერპულიდან“ არის. გულდმა ვერ გამოუძახა ტრავმირებულ გიგზს.**

**საფრანგეთის** ფეხბურთის ფედერაციამ პსჟ-ს ზანგ მეკარე ბერნარ ლამას ხუთთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა პლანის გაბოლებისთვის. სწორედ ამის გამო, ოღონდ ოთხი თვით, დაისაჯა 1995 წელს „მონაკოსა“ და წარსულში მარსელის „ოლიმპიკის“ მეკარე ფაბიენ ბარტეზი. ფედერაციის თქმით, ლამას, როცა დისკვალიფიკაციის წერილს მიიღებს, თამაში აეკრძალება. იმავე ორგანიზაციამ დასძინა, ლამას ოთხთა ტურნირში თამაშის ნებას დავრთავთ, ოღონდ ჟაკემ გუნდში უნდა შეიყვანოსო.

**ესპანეთის გასული წლის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა მადრიდის „ატლეტიკომ“ ინგლისის თასის ფინალისტ „მიდლსბროს“ შვიდნახევარი მილიონი გირვანქა შესთავაზა ჟუნინიოში. მადრიდელთა ჭორვეულობით განთქმულმა პრეზიდენტმა ხესუს ხილმა ხილიმ განაცხადა, თასის ფინალის მერე დავსხდებით და წვრილმანებს გავარკვევთო.**

**სლოვაკეთში** 21 მაისს ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრა მასპინძელთა და ჩეხთა ნაკრებებს შორის 24 აგვისტოსთვის გადაიტანეს. 21 მაისს უეფას თასის განმეორებით შეხვედრაში „შალკე 04“-ის შემადგენლობაში მოთამაშე ჩეხები რადოსლავ ლატალი და ირჟი ნემეცი ნაკრებს აკლდებოდნენ, ამიტომაც ევროპის ვიცე-ჩემპიონებმა უეფას თხოვნით მიმართეს, თამაში გადაგვიწიეთო, რაზეც უეფა დაყაბულდა.

**რუმინეთის თასის გათამაშების მეოთხედფინალები გაიმართა ოთხშაბათს. ბუქარესტის „სტიაუამ“ დამატებით დროში 3:2 სძლია პლოეშტის „პეტროლულს“, დედაქალაქის „დინამომ“ 4:1 გაანადგურა „რესიცა“, კრაიოვას „უნივერსიტატიამ“ 2:0 მოუგო „ბრაშოვს“, ხოლო ბუქარესტის „ნაციონალმა“ კლუჟის „უნივერსიტატია“ დაამარცხა 3:1.**

**ინგლისის** ნაკრებს მუხლის ტრავმის გამო კარგა ხნით გამოაკლდება „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი გარი პალისტერი. 31 წლის ცენტრალურ მცველს ამ დღეებში ოპერაციას გაუკეთებენ.

**სამხრეთ ამერიკაში გაიმართა ლიბერტადორესის თასის გათამაშების მეორე წრის განმეორებითი შეხვედრები. სანტიაგოში ჩილეს „კოლო-კოლომ“ წააგო ურუგვაის „ნასიონალთან“ 1:2, თუმცა, ორი მატჩის ჯამში 4:3 გაიმარჯვა და მეოთხედფინალს გააღწია. ბოლივიურმა „ორიენტე პეტროლერომ“ შინ ჩილეს „უნივერსიდად კათოლიკასთან“ დათმო შეხვედრა 1:5, ორი მატჩის ჯამშიც 1:9 განადგურდა და, ცხადია, გათამაშებას შეეშვა. ბრაზილიის „კრუზეირომ“ 2:1 სძლია ეკვადორის „ნასიონალს“, ორი მატჩის ჯამში კი ანგარიში გათანაბრდა 2:2, რის გამოც მეტოქეებმა პენალტებით გაარკვიეს მეოთხედფინალისტის ვინაობა — 5:3 „კრუზეირომ“ იმარჯვა და მეთხედფინალში უკვე გასულ ბოლივიის „ბოლივარს“, ბრაზილიის „გრემოს“, ურუგვაის „პენიაროლს“, არგენტინის „რასინგს“, პერუს „სპორტინგს“ და ზემოხსენებ ორ ჩილეს კლუბს შეუერთდა.**

## ფეხბურთის რუკასთან

**ირლანდიის** ნაკრებს მომავალ კვირაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში ლიხტენშტაინთან სათამაშოდ გამოაკლდება „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი დენის ირვინი, რომელსაც საზარდული ასტკივდა.

**ესპანეთის ჩემპიონატის გამოტოვებულ თამაშში კანარის კუნძულზე სტუმრად მყოფმა მადრიდის „ატლეტიკომ“ „ტენერიფე“ დაამარცხა 3:2 გადამწყვეტი გოლი 74-ე წუთზე დიეგო სიმეონემ გაიტანა.**

**უელსელი** რაინ გიგზი ამ დღეებში საავადმყოფოში მოათავსეს საზარდულის ტკივილების გამო. „მანჩესტერ იუნაიტედის“ 23 წლის ნახევარმცველს საავადმყოფოში გამოკვლევას ჩაუტარებენ, რის შემდეგაც მას გარკვეული ხნით დასვენება მოუწევს. ექიმებმა განაცხადეს, რაიანი სეზონის წინ მწყობრში იქნებაო.

**შოტლანდიაში საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს „კილმარნოკის“ 19 წლის ფორვარდი, ალექს ბარკი, რომელმაც ჩემპიონატში პირველად 21 დეკემბერს ითამაშა. ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა იქ კარგი თამაშის გამო მიიწვია იგი გუნდში.**

## ევროპაში მოდის

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა მწვრთნელმა მარიო ზაგალომ აქედანვე დაიწყო მზადება საფრანგეთის მეტად მნიშვნელოვანი ოთხთა ტურნირისთვის და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატისთვის. მან უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელებს უხმო ეროვნულ გუნდში. ყველას გასაკვირად, მარიომ არ დაუძახა ჟუნინიოს, კაცს, რომელსაც 1995 წლიდან ნაკრების არცერთი თამაში არ გამოუტოვებია. ზაგალომ თქვა, ჟუნინიო კარგი ბიჭია, მაგრამ ამჯერად მას „პალმეირასის“ ჟალმინია ვამჯობინეო. მან გუნდში დააბრუნა იაპონიის ჯეი-ლიგაში მოთამაშე სეზარ სამპაიუ და დუნგა, ვისაც ორი წელია ნაკრებში არ უთამაშია. ჯერჯერობით, ზაგალოს მიერ გამოძახებულ ბრაზილიის გარეთ მოთამაშე ფეხბურთელთა სია ასე გამოიყურება: ალდაირი (რომა), სეზარ სამპაიუ (იოკაჰამა ფლუმერსი), დუნგა (ჯუბილო ივატა), ფლავიო კონსეისაუ, მაურო სილვა (დეპორტივო), ჯოვანი, რონალდო (ბარსელონა), ლეონარდო (პსჟ), რობერტო კარლოსი, ზე რობერტო (რეალი), ზე მარია (პარმა). ახლახან ზაგალომ თქვა, ჩვენი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებაა; თან დასძინა, იქამდე შორია, მანამდე კონტინენტის პირველობის მოსაგებად ვიბრძოლებთო.

საფრანგეთის ტურნემდე ბრაზილიელები 30 მაისს ოსლოში ნორვეგიას ეთამაშებიან.

## შვეიცარია

ფინალური ეტაპის მე-11 ტური: ბაზელი — ქსამაქსი 1:3, გრასჰოპერი — ციურიხი 1:1, ლოზანა — არაუ 2:0, სენტ გალენი — სიონი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქსამაქსი | 11 | 5 | 5 | 1 | 17:10 | 42 |
| სიონი | 11 | 6 | 3 | 2 | 14:9 | 40 |
| გრასჰოპერი | 11 | 5 | 4 | 2 | 32:14 | 39 |
| ლოზანა | 11 | 7 | 1 | 3 | 17:13 | 39 |
| არაუ | 11 | 3 | 4 | 4 | 14:16 | 31 |
| სენტ გალენი | 11 | 2 | 4 | 5 | 10:21 | 25 |
| ციურიხი | 11 | 0 | 6 | 5 | 5:14 | 20 |
| ბაზელი | 11 | 2 | 1 | 8 | 12:24 | 20 |

# მაშ, „სამპდორია“ იურგენ?



გერმანიის ნაკრების კაპიტანი იურგენ კლინსმანი მომავალი წლიდან გენუას „სამპდორიაში“ ითამაშებს — სწორედ ასეთი რამ განაცხადეს მიუნხენელთა გუნდის წარმომადგენლებმა იურგენის მშობლიურ ქალაქ შტუტგარტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. „ბაიერნის“ განცხადებით, ერთ კვირაში იტალიაში გაიმართება საგანგებო პრეს-კონფერენცია, სადაც გენუას „სამპდორია“ და კლინსმანი ამ თემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე დაწვრილებით ისაუბრებენ.

თუ იურგენი მართლაც „სამპდორიაში“ წავიდა, მაშინ ეს მისი იტალიაში „მეორედ მისვლა“ იქნება. იურგენი 80-იანი და 90-იანი წლების შესაყარზე უკვე თამაშობდა აპენინებზე, კერძოდ კი მილანის „ინტერში“ თანამემამულე ანდრეას ბრემესთან და ლოთარ მათეუსთან ერთად.

## დენი დააფინაურეს

ჰოლანდიის უტიტულოვანეს გუნდს, ამსტერდამის „აიაქსს“, როგორც ვიცით, სეზონის ბოლოს ლუის ვან გაალი სტოვებს. მისი შემცვლელი რა ხანია ცნობილია — დანიელ მორტენ ოლსენი, ახლახანს ცნობილი გახდა, რომ მომავალი წლიდან ოლსენის თანაშემწედ იმუშავებს კლუბის ვეტერანი და ყველა საკლუბო თასის მფლობელი დენი ბლინდი. მიუხედავად იმისა, რომ ბლინდი მწვრთნელის თანაშემწე იქნება, იგი ფეხბურთელის კარიერის დასრულებას არ აპირებს.

## ინგლისი

### პრემიერლიგაში გადასასვლელი ფლეი-ოფის განმეორებითი შეხვედრები:

**იფსვიჩი — შეფილდი 2:2 (1:1)**

**ვულვერჰემპტონი — კრისტალ პალასი 2:1 (1:3)**

ინგლისის პირველ დივიზიონში მესამე-მეექვსე ადგილზე გასულმა გუნდებმა ნახევარფინალური წყვილები შექმნეს და ფინალური საგზური გაითამაშეს. მესამე და მეექვსე ადგილის მფლობელი გუნდები, „ვულვზი“ და „კრისტალ პალასი“ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველ შეხვედრაში, რომელიც „კრისტალ პალასმა“ 3:1 მოიგო, 62-ე წუთამდე ანგარიში მასპინძელთა სასარგებლოდ 1:0 იყო. თუმცა, ბოლო ორ წუთში მასპინძლებმა ორი შეაგდეს, სტუმრებმა კი — ერთი. განმეორებით მატჩში, რომელიც ოთხშაბათს გაიმართა, მეორე გოლი „მგლებმა“ 85-ე წუთზე შეაგდეს, მეტი კი ველარ მოახერხეს და ახლა ფლეი-ოფის ფინალში პირველ დივიზიონში „ბოლტონის“ მერე, საუკეთესო თავდასხმის მქონე გუნდი, „კრისტალ პალასი“, მეორე წყვილში გამარჯვებულ „შეფილდ უენსდეის“ შეხვდება. შეფილდელებმა სტუმრად გატანილი გოლების წყალობით მიაღწიეს ფინალს, არადა 76-ე წუთამდე მასპინძლები 2:1 იგებდნენ, თუმცა, სტუმრები უოქერმა იხსნა. მოკლედ, პრემიერლიგის კიდევ ერთ საგზურს „კრისტალ პალასი“ და „შეფილდ უენსდეი“ გაითამაშებენ.

ფინალური თამაში „უემბლიზე“ ათ დღეში გაიმართება.

## დარჩება თუ არ დარჩება?

წელს პრემიერლიგაში დარჩენისთვის, ლიგის თასისთვის და ქვეყნის თასისთვის მებრძოლმა, მაგრამ პირველ ორში უკვე ხელმოცარულმა „მიდლსბრომ“ განაცხადა, პრემიერლიგის თავკაცებს სასამართლოში ვუჩივლებთ, რადგან მათ იანვარში ის სამი ქულა, რომელსაც შეეძლო პრემიერლიგაში დავეტოვებინეთ, უკანონოდ დაგვიქვითესო. დეკემბრის ბოლო დღეებში „ბლექბერნთან“ თამაშზე გამოუცხადებლობის გამო ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ „მიდლსბროს“ სამი ქულა დაუქვითა, რომლის დაბრუნებასაც და, ცხადია, პრემიერლიგაში დარჩენასაც კლუბი ითხოვს. მიუხედავად ასოციაციის გაფრთხილებისა, „მიდლსბროს“ თავკაცმა სტივ გიბსონმა თქვა, ამ საქმეს ესე არ დავტოვებ, რკინის ქალამანს ჩავიცმევ და სამართალს პურს ვაჭმევო. „მიდლსბროს“ ფაფხურზე პრემიერლიგის თავკაცობამ ყურიც არ შეიბერტყა, ეგენი წყლის ნაყვის მეტს არაფერს ეწევიანო.

## „ბარსა“ ცხელ გულზე

UEFA Cup Winners' Cup

ახლა, თასების თასის ფინალიდან ოთხი დღის მერე, მეტად დაძაბული და ლამაზი შეხვედრის პერიპეტიების გახსენებას აღარ შევუდგებით, ისედაც ყველა ფეხბურთის მოყვარულმა ნახა. მხოლოდ „ბარსელონას“ თავკაცების და ფეხბურთელების მიერ მატჩის შემდგომ გამოთქმულ მოსაზრებებს შემოგთავაზებთ. მთელი სეზონი კრიტიკის ქარცეცხლში გატარებულმა და ახლაც აუგად მოხსენიებულმა კატალონიელთა გუნდის ინგლისელმა თავკაცმა ბობი რობსონმა თქვა, იმედია, თასების თასის მოგება იმ ხალახს, რომელიც მე განუწყვეტლივ და უმიზეზოდ მლანძღავდა, პირს ამოუკერავსო. „ხალხმა ჩემზე მიღწეული შედეგებით უნდა იმსჯელოს. ვფიქრობ, წელს „ბარსელონა“ არც ისე ცუდად გამოდის. ჩემპიონობის შანსებს კიდევ ვინარჩუნებთ, თასის ფინალში ვართ, აგერ თასების თასიც მოვიგეთ. ამდენ ასპარეზზე დღეს ევროპაში არცერთი კლუბი არ იბრძვის. მე ჩემს საყვარელ კლუბში ორი წლით მოვედი და გაისადაც აქ დარჩენას ვაპირებ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ბევრს არ გაეხარდება. მე ერთი რამ ვიცი — თასების თასის მოგება „ბარსელონას“ ისტორიაში ახალი ეტაპის დასაწყისია, ეტაპის, რომელიც გუნდს უდიდეს წარმატებებს მოუტანს.“ რობსონს „ბარსელონას“ ბოლო წლების უცვლელმა პრეზიდენტმა ხოსე ლუის ნუნიესმაც აუბა მხარი, რას ერჩით ამ კაცს, გუნდი შესანიშნავად თამაშობს, აგერ ევროპაშიც ვიმარჯვებთო. „რობსონს ყოველთვის მხარს ვუჭერდი, ახლაც ამ აზრისა ვარ. მისი ხელმძღვანელობით გუნდი სულ უფრო ძლიერდება, რითაც ძალზე კმაყოფილი ვარ.“ „ბარსელონას“ ხელმძღვანელებმა მატჩზე მეტად სხვა საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება. მათგან განსხვავებით, ფეხბურთელებმა სწორედ თამაშზე ისაუბრეს. გუნდის კაპიტანმა, რუმინელმა პოპესკუმ თქვა, მინდორი იმიტომ დავტოვე, კუნთი დამეჭიმა და აუტანელი ტკივილები დამეწყო. „ფინალი კარგად ვითამაშეთ. მეტოქის დასამარცხებლად არანაირი ტაქტიკა არ შეგვიმუშავებია, უბრალოდ, ჩვენებურად ვითამაშეთ, რამაც წარმატება მოგვიტანა“ — თქვა ჯიკამ.

# თასი უცხოელთათვის

17 მაისს, „უემბლიზე“ ქვეყნის თასის 125-ე გათამაშების გადამწყვეტი მატჩის ტრანსლაცია 184 ქვეყანაში მოეწყობა და მას დაახლოებით მილიარდნახევარი ტელემაყურებელი ეყოლება. მსოფლიოს ამ უძველესი საფეხბურთო პრიზის და ინგლისის უპრეტსიჟულესი თასის ფინალური მატჩი უდაოდ გამორჩეული იქნება. გარდა იმისა, რომ თასი 125-ედ თამაშდება, ფინალში პირველად იბრძოლებენ იტალიელები, ბრაზილიელები, აგრეთვე რუმინელი და სლოვაკი ფეხბურთელები. მოგეხსენებათ, პირველ დივიზიონში გავარდნილ „მიდლსბროს“ კლუბის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული ბრაზილიელი ჟუნინიო, მისი თანამემამულე ემერსონი, იტალიელები — ჭალარა რავანელი, ფესტა და სეზონის შუაში შეძენილი სლოვაკი კინდერი ჰყავს, მისი მეტოქის — „ჩელსის“ ღირსებას კი აპენინელები ძოლა, დი მატეო, ვიალი და რუმინელი დან პეტრესკუ იცავენ. ამათ გარდა ფინალში შესაძლოა ნორვეგიელებმა — იონსენმა (ჩელსი), ფიორტკროფტმა (მიდლსბრო), ჰოლანდიელმა ვიკერსმა (მიდლსბრო), ფრანგმა ლებეფმა (ჩელსი) და დანიელმა ბეკმა (მიდლსბრო) ითამაშონ, რითაც ფინალურ მატჩებში არაბრიტანელთა მონაწილეობის 1994 წელს დამყარებული რეკორდი დაემხობა — მაშინ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ახლანდელი ფინალისტი „ჩელსი“ ექვსი არაბრიტანელით შეერკინენ ერთმანეთს და „იუნაიტედმა“ იძალა — 4:0. მოკლედ, დღეს „უემბლიზე“ ინგლისელები შესაძლოა უფრო ნაკლებნი აღმოჩნდნენ, ვიდრე უცხოელები ბრიტანელების ჩათვლით. აქამდე თასის ფინალში 16 არაბრიტანული ქვეყნის 27 ფეხბურთელს 41-ჯერ უთამაშია. პირველი უცხოელი 1951 წელს გამოჩნდა. იმ წელს „ნიუკასლის“ ჩილელი ლეგიონერი ხორხე რობლედო ბევრს ეცადა, მაგრამ იმ დროისთვის უძლიერეს „ბლექპულთან“ ვერას გახდა. შავ-თეთრები 0:2 დამარცხდნენ და ხორხემაც თასით ვერ დაიმშვენა ხელი, თუმცა მომავალ გათამაშებაში, „ნიუკასლში“ „ბარნსლიდან“ 1949 წელს 26 ათას გირვანქად გადასულმა ჩილელმა, ვინაც ამჯერად უმცროს ძმა ედუარდოსთან ერთად თამაშობდა, „არსენალს“ ერთადერთი გოლი გაუტანა და რობლედოები პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი არაბრიტანელი ინგლისის თასის მფლობელი ძმები გახდნენ. საერთოდ, ხორხე „ნიუკასლის“ ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი ლეგიონერია. მან კლუბში ექვსი წელი ითამაშა, ჩემპიონატის 164 მატჩში 91 გოლი შეაგდო და ლეგიონერთა შორის კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირის სახელი დაიგდო. გამოხდა ორი წელი და ინგლისური თასის ფინალს მესამე არაბრიტანელი, ამჯერად ავსტრალიელი ჯო მერსონი მოევლინა. ამის მერე ბებერი კონტინენტის წარმომადგენელთა ჯერიც დადგა და „მანჩესტერ სიტის“ გერმანელმა მეკარემ ბერტ ტრაუმანმა 1955-56 წლებში ზედიზედ ორ ფინალში ითამაშა. საწყალმა ტრაუმანმა კლუბს 56-ში თასი კი მოაგებინა, მაგრამ თავად მატჩის დროს კისერი მოიტეხა. გავიდა ცხრა წელი და 1965-ში „ლიდსის“ სამხრეთ აფრიკელმა ალბერტ იოჰანსონმა თასის ფინალში უცხოელ მონაწილეთა რაოდენობა ხუთამდე გაზარდა. ამის მერე ლეგიონერებმა 14 წელი შეისვენეს, 70-იანი წლების მიწურულიდან კი თასის გადამწყვეტი მატჩის ლეგიონერთა გარეშე გამართვა თითქმის წარმოუდგენელი გახდა. 1979-ში იოჰანსენის თანამემამულე მეკარემ, გარი ბეილიმ „არსენალთან“ შეხვედრისას სამი გოლი გაუშვა და თავის „მანჩესტერ იუნაიტედს“ ვერაფრით დაეხმარა, თუმცა 1983 და 1985 წლებში საიმედოდ გაისარჯა და ჯილდო ხელიდან არ გაუშვა. 1983 წელს ბეილისთან ერთად თასისთვის ჯერჯერობით ერთადერთმა ჰოლანდიელმა — არნოლდ მიურენმაც იბრძოლა და მანჩესტერელთა ზეობაში წილი დაიდო, ორ წელიწადში კი, როცა ბეილიმ მესამედ და უკანასკნელად ითამაშა ფინალი და მეორედ მოიგო თასი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურით პირველმა დანიელმა — იესპერ ოლსენმაც გაიზიარა გამარჯვებით გამოწვეული სიხარული. მანამდე, 1981 წელს, ფინალში, ორმა მსოფლიოს ჩემპიონმა — არგენტინელებმა ოსვალდო არდილესმა და რიკარდო ვილამ სინჯეს ძალა „ტოტენჰემის“ მაისურით, ამ უკანასკნელმა დამატებით დროში გადამწყვეტი გოლი ისე შეაგდო, რომ გზად რვა მეტოქე გააბითურა. ამ ბრწყინვალე გოლის მერე თამაში რამდენიმე წუთით შეწყდა — რიკარდოს გოლს ინგლისელები თასის ისტორიაში საუკეთესოდ მიიჩნევენ. 1986 წელს „ლივერპულის“ ზიმბაბველმა მეკარემ, ბოლო ხანებში თაღლითობაში ეჭვმიტანილმა ბრიუს გრობელაარმა სარეკორდო — 4 ფინალური მატჩისგან შემდგარი სერიის პირველი შეხვედრა ითამაშა. იმ წლევანდელმა ფინალმა არც გრობელაარის თანაკლუბელების — ავსტრალიელი კრეიგ ჯონსონის და დანიელი იან მიოლბიუს გარეშე ჩაიარა. ამ სამეულმა მოგვიანებითაც, 1988 წელს ითამაშა ფინალში. 1987 წელი კი პირველი და უკანასკნელი ბელგიელის — „ტოტენჰემის“ ნიკ კლასენის გამოჩენით აღინიშნა. 1989 წელს „ლივერპული“ კვლავ გავიდა თასის ფინალში, სადაც მხოლოდ გრობელაარმა ითამაშა. ორ წელიწადში, 1991 წელს „ტოტენჰემის“ ფინალში გასვლით უცხოელთა რიგებს ორი წევრი შეემატა — ესპანელი ნაიმი და ნორვეგიელი მეკარე ერიკ ტორსტვედი. მომავალი წლის მატჩი ლივერპულელთათვის უკანასკნელი გამოდგა — დანიელმა იან მიოლბიუმ მესამედ ითამაშა, ზიმბაბველმა გრობელაარმა კი — მეოთხედ. 1993 წლის ფინალში დამარცხებულ „არსენალში“ დანიელი იონ იენსენი გამოდიოდა, გამარჯვებული „შეფილდ უენსდეის“ ღირსება კი პირველად დაიცვეს ამერიკელმა ჯონ ჰარკსმა და შვედმა რონალდ ნილსონმა. 1994 წელმა კი რუსები — მანჩესტერელი ანდრეი კანჩელსკისი და ჩელსელი დიმიტრი ხარინი დაუპირისპირა ერთმანეთს. ამათ გარდა ფინალში სხვა ლეგიონერებმაც, „მანჩესტერ იუნაიტედის“ დანიელმა მეკარემ პიტერ შმაიხელმა, პირველმა ფრანგმა „ფინალისტმა“, შერეკილმა ერიკ კანტონამ, „ჩელსის“ შვედმა იაკობ კელდბერგმა და ნორვეგიელმა ელანდ იონსენმა ითამაშეს. მომავალი წლის ფინალი კვლავ „მანჩესტერის“ მონაწილეობით ჩატარდა, თუმცა შმაიხელმა, კანტონამ და კომპანიამ ვერაფერი გააწყვეს ლივერპულის „ევერტონთან“, რომლის სახელითაც შვედი ანდრეს ლიმპარი და პირველი ნიგერიელი დანიელი ამოკაში გამოდიოდნენ. შარშან „მანჩესტერი“ ზედიზედ მესამედ გავიდა ფინალში — შესაბამისად, შმაიხელმა და კანტონამაც ზედიზედ სამჯერ ითამაშეს, რითაც ერთგვარი რეკორდი დაამყარეს.




იონსენი და ძოლა „მიდლსბროსთან“ სათამაშოდ ასე ემზადებოდნენ

ახლა კლუბებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. „მიდლსბრო“ თავისი 120 წლიანი ისტორიის მანძილზე პირველად გავიდა ქვეყნის თასის ფინალში, თუმცა, თუ წლევანდელი შედეგებით და მეტოქეთა ბოლოდროინდელი მატჩებით ვიმსჯელებთ, ნაკლებად სავარაუდოა, პრემიერლიგის ერთადერთმა უტიტულო და პროვინციულმა კლუბმა დედაქალაქის „ჩელსის“ სძლიოს. სანამ „მიდლსბროს“ პრემიერლიგიდან გავარდნა ნათელი გახდებოდა, ალბიონის ჩემპიონმა „მანჩესტერმა“ რობსონს შეუთვალა, ვინიცობაა გავარდით, ჟუნინიო დამითმეო. „მიდლსბროს“ პრემიერლიგისკენ მობრუნების პირი აღარ უჩანს, ჟუნინიომაც არც აცია, არც აცხელა და კლუბის ხელმძღვანელებს პირში მიახალა, გაისად აქ გამჩერებელი აღარ ვარო. „ძალიან მინდა, 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონატში ვითამაშო. ნაკრებში რომ აგიყვანონ, უმაღლეს დონეზე უნდა ვთამაშო, მე კი პირველი დივიზიონი ბევრს არაფერს მომცემს. ბრაზილიაში ყოველწლიურად 6-7 ბრწყინვალე, იმედისმომცემი ახალგაზრდა გამოდის ასპარეზზე და ამიტომ ეროვნულ გუნდში დასამკვიდრებლად დიდი კონკურენციაა. მართალია, აქ ბევრი გულშემატკივარი და მეგობარი შევიძინე, მიჭირს კიდეც მათთან განშორება, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია. მე პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და ის უნდა გავაკეთო, რაც სიკეთეს მომიტანს“. ჟუნინიოს გულახდილობამ „მიდლსბროს“ თავკაცები ერთობ გააწბილა, მაგრამ აგრძნობინა, რომ მიუხედავად კლუბთან კიდევ ორწლიანი კონტრაქტისა, ფეხბურთელი მათთან გამჩერებელი აღარ იყო, ისევე, როგორც ფაბრიციო რავანელი, რომელიც ჯერ კიდევ სეზონის შუაში მოჰყვა წუწუნს, ინგლისური ფეხბურთი ძალზე დამღლელია და ამდენმა თამაშმა შესაძლოა ნაადრევად გადამწვასო. ფაბრიციომ განაცხადა, ლიგის თასის მოგებაც მინდოდა, მაგრამ არ გაგვიმართლა, ახლა კი ყველანაირად ვეცდები, „მიდლსბროს“ ინგლისის თასი მოვაგებინოო.

„მიდლსბროსაგან“ განსხვავებით, „ჩელსიში“ თამაშისწინა განწყობა უფრო ხალისიანია. გუნდის შესუქებულმა მწვრთნელმა რუუდ გულიტმა თქვა, ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ მწვრთნელობას სერიოზულად მოვკიდებდი ხელსო. „ადრე, ჯერ კიდევ „მილანში“ თამაშისას, მეგონა, რომ კარიერის დამთავრების შემდეგ ბავშვების აღზრდით დავსაქმდებოდი. მართალი გითხრათ, არ მოველოდი, თუ მწვრთნელობა წარმატებას მომიტანდა. ძალიან მიხარია, რომ სამწვრთნელო კარიერის პირველსავე წელს ინგლისის თასის ფინალში გავედით. იმედი მაქვს, ამაზე არ გავჩერდები და მოვიგებთ, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე „მიდლსბროა“. მართალია, რობსონის გუნდმა დატოვა პრემიერლიგა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. გავარდნილ გუნდებსაც შესწევთ ბრწყინვალე მატჩების თამაშის უნარი. ასე რომ, ვგონებ, კარგი ფინალი უნდა გამოვიდეს“. მწვრთნელს მხარი აუბა მასზე ერთი წლით უმცროსმა მარკ ჰიუზმა, ვისაც ინგლისის თასის მოგება ლამის ჩვეულებად ექცა — მარკმა „მანჩესტერ იუნაიტედში“ ყოფნისას სამჯერ იმარჯვა თასის ფინალში. მანჩესტერელებმა სეზონის წინ უელსელი, აქაოდა დაბერდაო, გაყიდეს, მაგრამ მარკი „ჩელსიში“ ძლიერად ათამაშდა, ძოლას ბრწყინვალედ შეუწყვილდა და ჩემპიონატის ერთ-ერთი უძლიერესი წყვილიც ჩამოყალიბდა. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, გაახალგაზრდავებულმა ჰიუზმა თქვა, პირველად რომ თასი მოვიგე, 21-ისა ვიყავი, „იუნაიტედში“ კი ჩემზე გაცილებით უფროსები თამაშობდნენ, ამიტომ სიხარული სათანადოდ ვერავის გავუზიარე, ახლა კი უფრო შინაურულად ვგრძნობ თავს და, მგონი, არც ფინალის მერე უნდა მეწყინოს რაიმეო. ახალგამომცხვარი დუეტის მეორე წევრმა, იტალიელმა ჯანფრანკო ძოლამ დაიქადნა, „უემბლიზე“ რომ ინგლისს გოლი გავუტანე, იგივეს გაკეთებას ვაპირებ ახლაცო. „ინგლისის თასის ფინალში თამაში ჩემს კარიერაში ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია. გეხსომებათ, თებერვალში ჩემმა გოლმა მთელი ინგლისი დაამწუხრა. ახლაც დიდი სურვილი მაქვს, ჩემმა გოლმა „ჩელსის“ მოაგებინოს. ბოლოს და ბოლოს, უკვე მეოთხედი საუკუნეა, კლუბმა ტიტული ხელთ ვერ იგდო“.

მოკლედ, თუ მეტოქეებს ვენდობით, ფიცხელი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, მეტოქეებს ევროტურნირებზე გასვლის სხვა შანსი, თასის მოგების გარდა, დაკარგული აქვთ. მეორე — წელს თასის ფინალში პირველად ითამაშებენ ბრაზილიელები, იტალიელები, რუმინელი და სლოვაკი, რომლებიც, ცხადია, ერთმანეთს არაფერს დაუთმობენ. მესამე კი ის, რომ ინგლისში თასის მოგებას სულ სხვა ფასი აქვს, მითუმეტეს, თუ ის 125-ედ თამაშდება.

**ლაშა გოდუაძე**

# აუცილებლად უნდა ვივარგოთ

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე მიემგზავრება. კვიპროსზე გასამართ ამ ტურნირში ჩეხეთის, კვიპროსის, ავსტრიისა და საქართველოს ეროვნული გუნდები ითამაშებენ, ორი საუკეთესო კი შემოდგომიდან შესარჩევ ტურნირში ჩაებმება. ჩვენი კალათბურთელები 18 მაისს გაემგზავრებიან ისრაელს, სადაც ამ ქვეყნის ერთ-ერთ გუნდს (შესაძლოა, ისრაელის ახალგაზრდულ ნაკრებს) შეხვდებიან, იქიდან კი კვიპროსს გაემართებიან. გუშინ ვარჯიშზე ვესაუბრეთ ნაკრების უფროს მწვრთნელს **ბესიკ ლიპარტელიანს.**

**— გაკმაყოფილებთ ნაკრების წევრთა მზადყოფნის დონე?**

— ძირითადად კმაყოფილი ვარ. ვითელებმა გამოცდილება შეიძინეს ევროტურნირში. ნაკრების დინამოელი წევრები ამ პრაქტიკას მოკლებულნი იყვნენ, მაგრამ სეზონის ბოლოსკენ აშკარად მოუმატეს.

**— ყველა ჯანმრთელია?**

— სამწუხაროდ, არა. ტრავმების გამო გამოგვაკლდნენ დადიანი და უსტიაშვილი. ბოლო ვარჯიშზე შევამოწმეთ კახა შენგელიაც, რომელსაც წელის ტრავმის გამო კარგა ხანია, არ უვარჯიშია. იგი უკეთესადაა, მაგრამ ბოლომდე ვერ არის მოკეთებული და ვერ გავრისკავთ. სამწუხაროა, რომ დაშავებულა ვლადიმერ სტეფანია, რომელიც ამის გამო არც აქ არის შეკრებაზე და არც ისრაელში მოგვყვება. იგი კვიპროსზე შემოგვიერთდება, მაგრამ როგორ იქნება, ძნელი სათქმელია.

**— ვინ მიიწვიეთ ნაკრებში?**

— დღესდღეობით ათი მოთამაშეა: თორთლაძე, ტურაშვილი, ჩხეიძე, სანაძე, ქარაბაკი, ნაცვლიშვილი („ვითა“), ხოშტარია, მაისურაძე, ბეჟანიშვილი („დინამო“), ბერძენიშვილი („სლოვაკოფარმა“). რადგან კვიპროსზე 3 მატჩია სათამაშო, გუნდების შემადგენლობა ათ-ათი კაცით განისაზღვრება. ვინაიდან არ ვიცით, როგორ მდგომარეობაში ჩამოვა სტეფანია და შეძლებს თუ არა თამაშს, სასურველი იყო, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ათივე მოთამაშე წაგვეყვანა თან და სტეფანიას ჩამოსვლის შემდეგ დაგვედგინა შემადგენლობა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ეს არ ხერხდება. ამიტომ ერთი უნდა დავტოვოთ თბილისში. ამას გამგზავრებამდე გადავწყვეტთ.

**— რა იცით მეტოქეებზე და შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— როგორ ყოველთვის, არაფერი. ისე კი, ამბობენ, ჩეხეთი ძლიერიაო. კვიპროსთან თამაში შეიძლება მხოლოდ იმიტომ გაძნელდეს, რომ იქ არანორმალურ პირობებში ტარდება მატჩები. ავსტრიელებთან კი არ უნდა გაგვიჭირდეს. აუცილებლად უნდა მოვხვდეთ ორ საუკეთესოს შორის. ამას ჩვენი კალათბურთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მომავალი სეზონიდან მოთამაშეები უცხოეთს მიდიან და თუ კვიპროსზე ვერ ვივარგეთ და ქართველ მაყურებელს ევროპულ ნაკრებთა დონეზე თამაშიც მოვაკელით კარგა ხნით, ამით, შესაძლოა, ჩავკლათ კალათბურთისადმი ხელახლა გაღვივებული ინტერესი.

**— დიდი ხანია ამბობთ, „ვითადან“ მოთამაშეები მიდიანო. ცნობილია, ვინ სად ითამაშებს?**

— ჯერ ყველაფერი არ გარკვეულა. ისე კი, სანაძე და ნაცვლიშვილი ისრაელში აპირებენ წასვლას, ტურაშვილი და უსტიაშვილი — საბერძნეთში, თორთლაძე — თურქეთში. მიდის ქარაბაკიც, ოღონდ ჯერ არაა გადაწყვეტილი, სად. შეიძლება, წამსვლელებს სხვებიც დაემატონ.

**— თქვენ თუ რჩებით „ვითაში“?**

— არა, მეც მივდივარ, ჯერჯერობით მხოლოდ ნაკრების მწვრთნელი ვიქნები.

**— სტეფანიაც მიდის სადმე?**

— ჯერჯერობით „ოლიმპიაში“ რჩება.

**გავესაუბრეთ ჩვენს ერთ-ერთ ლეგიონერს, დავით ბერძენიშვილსაც.**

**— როგორ ჩაიარა პირველმა უცხოურმა სეზონმა?**

— ჩემპიონი გავხდი. მოკლედ, რასაც აქ ვერ ველირსე, სლოვაკეთში პირველსავე წელს მივაღწიე.

**— ძირითადში თამაშობთ?**

— დიახ. ყოველ მატჩში 25-30 წუთი ვარ მოედანზე.

**— „სლოვაკოფარმაში“ მომავალ სეზონშიც ითამაშებთ?**

— კონტრაქტი 1999 წლამდე მაქვს.

**ჩვენი ნაკრების შეხვედრების განრიგი ასეთია: 23-ში ჩეხეთის ნაკრებს ვეთამაშებით, 24-ში — კვიპროსს, 25-ში ავსტრიელებს.**

**ქოტე მგალობლიშვილი**



# რინგი გინდათ? დაგიხატავთ!

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა დიფერენცირების მეთოდით სპორტის სახეობები 4 კატეგორიად დაჰყო და მათ შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა აღუთქვა. ამ ექსპერიმენტით კრივი მეორე კატეგორიას მიაკუთვნეს. მაგრამ, როგორც ჩანს, მოკრივეებს კუთვნილსა და შეპირებულსაც არ აძლევენ...

კრივის ფედერაციის პრეზიდენტს ზურაბ ფალიანს და გენერალურ მდივანს ზურაბ კიკნაველიძეს, რომ იტყვიან, დანა პირს არ უხსნიდათ, ისეთ ხასიათზე იყვნენ. სასაუბრო განწყობა ნამდვილად არ ჰქონდათ, არც მე მივეძალე და მხოლოდ ამის შეტყობაღა მოვახერხე მათგან:

საქართველოს მოკრივეთა ნაკრებ გუნდებს შეკრებები და ტურნირები სანატრელი გაუხდათ. კერძოდ, წელს უფროსთა ნაკრებმა მხოლოდ ერთხელ მოაწყო შეკრება და მხოლოდ ორ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა — ჩეხეთსა და თურქეთში. კრივის საერთაშორისო ფედერაციამ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე საასპარეზოდ სალიცენზიო ტურნირება დააწესა — ულიცენზიოდ მთავარ შეჯიბრებებში ვერავინ იჩხუბებს. ლიცენზიის მოპოვებას კი ხანგრძლივი და სრულფასოვანი მზადება სჭირდება, ამას კი უფულოდ ვერ მოახერებ. აი, ფული კი ფედერაციას არ გააჩნია და სპორტის დეპარტამენტს შესცქერის ხელებში, დეპარტამენტი კი, როგორც ფედერაციის თავკაცები ჩივიან, მეტისმეტ სიძუნწეს იჩენს და სპორტის სხვა, თუნდაც იმავე მეორე კატეგორიის სახეობებისაგან განსხვავებით, მოკრივეთა გასაჭირს არად აგდებს. საქართველოში ნორმალური შეკრების საშუალება არ არის — უდარბაზობა, უწყლობა და უინვენტარობა ამას გამორიცხავს. ამიტომ, კრივის ფედერაცია რუსებს შეხმიანებია, ეგებ თქვენთან, შეღავათიან ფასებში მოვახერხოთ შეკრებაო. რუსებსაც „ჩოთქი“ მოუმარჯვებიათ, თითები აუთამაშებიათ და დაუთვლიათ — ერთი დღე ერთი მოკრივე 90 დოლარი დაგიჯდებათო. წარმოიდგინეთ, ორსამკვირიანი სრული გუნდის შეკრება რუსეთის რომელიმე კურორტზე რა დაჯდება. რუსთა შემონათვალზე დეპარტამენტის თავკაცებს ხელები გაუსავსავებიათ, მაგდენი ფული არა გვაქვს და აქვე, თბილისში დარბაზს გამოგიყოფთ, მართალია, რინგი არ არის, მაგრამ სალებავით დახაზეთ დარბაზი და ისე ივარჯიშეთო. ადრე კრივის მექად წოდებული, ვერის ბაღის კრივის დარბაზი პროფკავშირებს ეკუთვნის. ფედერაციის თავკაცებმა ისიც აღნიშნეს, რომ დარბაზი გაპარტახებული და დანგრევის პირას ყოფილა მისული. როცა ფედერაციას პროფკავშირებისთვის უთხოვია, დარბაზი ჩვენ გადმოგვეცით, მივხედავთ, შევარემონტებთ, თორემ საცაა დაინგრევაო, პროფკავშირებიდან შემოუთვლიათ — დარბაზი ჩვენია, გვინდა დავანგრევთ და გვინდა არაო.

კრივის ფედერაციის მესვეურნი გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ თუ ასე გაგრძელდა, მალე საქართველოში ერთი ხეირიანი მოკრივეც არ გვეყოლება: გიორგი კანდელაკი პროფესიულ კრივში გადავიდა, რამაზ ფალიანმა რუსეთიდან საბერძნეთს მიაშურა, პაატა გვასალიაც ჯერჯერობით მოსკოვშია. კაცმა არ იცის, ატლანტის ოლიმპიადის მონაწილე ქართველი მოკრივეები როდემდე გაჩერდებიან ასეთ გაუსაძლის პირობებში, როცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კრივის მესვეურნი დალხინებულ ცხოვრებას ჰპირდებიან და თავისკენ ექაჩებიან.

კურიოზული ის არის, რომ სპორტის ხელმძღვანელები თურმე ამ კანტი-კუნტ შეკრებებსა და ტურნირებსაც ამადლიან კრივის ფედერაციას და კატეგორიულად მოითხოვენ მაღალ შედეგებს, კრივში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან ჭიდილში გამარჯვებას. შედარებისთვის: წელს კუბის ნაკრებმა 5 შეკრება გაიარა და 6 საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა, ჩვენმა ნაკრებმა, უკვე ვთქვით, მხოლოდ 1 შეკრება და 2 ტურნირი მიითვალა. ვერ დაამარცხებს კანდელაკი სავონს, აბა, რა იქნება.

**ლევან ჯავახიშვილი**



**NBA. ფლეი-ოფი**

**მეორე წრე**

**აღმოსავლეთი**

**მაიამი 2-3 ნიუ იორკი**

14 მაისი. მაიამი — ნიუ იორკი 96:81

**დასავლეთი**

**სიეტლი 3-3 ჰიუსტონი**

15 მაისი. სიეტლი — ჰიუსტონი 99:96

# პატარას მოერიე...

ოთხშაბათს დიდი მუშტი-კრივი ატყდა მაიამიში. მატჩის დამთავრებამდე 1,53 წუთით ადრე მაიამელი ტიმ ჰარდევეი საჯარიმოს ესროდა. ამ დროს ნიუიორკელი ჩარლი უორდი დაიხარა, მაიამელ ფი. ჯეი. ბრაუნს ფეხებში გაუძვრა და წააქცია. გაბრაზებულმა ბრაუნმა ხელები ჩაავლო ტანდაბალ უორდს, ასწია, მოიქნია და მოედნის გარეთ მოისროლა. უორდს ჯონ უოლესი გამოექომაგა, ამასობაში ნიუიორკელთა სათადარიგოებმა მოირბინეს და ატყდა თავ-პირის მტვრევა მტვრევა. მაიამელთა მწვრთნელმა პატ რაილიმ თავისი მოთამაშეები საჩხუბრად არ გაუშვა, ასე რომ, ბრაუნი მარტო უმკლავდებოდა ხუთ მეტოქეს.

მეორე დღესვე ნბა-მ მკაცრი სანქციები დაადო მოჩხუბრებს. ხუთ ნიუიორკელს: პატრიკ იუინგს, ალან ჰიუსტონს, ლარი ჯონსონს, ჯონ სტარქსს და ჩარლი უორდს თითოთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიეცათ. ეს იმას ნიშნავს, რომ სერიის მომდევნო მატჩს, დღეს დილით რომ გაიმართა, ყველანი გამოტოვებენ, ჯონსონი და სტარქსი მომდევნო მატჩშიც „დაისვენებენ“ — ეს ან „მაიმისთან“ სერიის მეშვიდე თამაში ან „ჩიკაგოსთან“ კონფერენციის ფინალის პირველი თამაში იქნება. ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიიღო ბრაუნმაც.

ნბა-ს კანონების მიხედვით, ფლეი-ოფში გუნდს სათადარიგოთა სკამზე ცხრა ფორმაში ჩაცმული მოთამაშე უნდა ჰყავდეს. ხუთი [illegible] დისკვალიფიკაციით „ნიუ-იორკს“ სულ შვიდი შემორჩა, [illegible] თავისთავად ვერ [illegible] დღევანდელი დილის მატჩზე, რადგან ჩხუბი მან წამოიწყო. იგივე ბედი გაიზიარეს იუინგმა და ჰიუსტონმა, რადგან ანბანის მიხედვით ისინი დაჯარიმებულ კალათბურთელთა სიას თავკაცობენ. სიცარიელეს ჯონსონი და სტარქსი შეავსებდნენ.

ნიუიორკელები დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ. პატ რაილიმ თქვა, ვერ წარმომიდგენია, რა უნდა ქნან ნიუიორკელებმა, ვინ უნდა დააყენონ ხუთეულში და, საერთოდ, როგორ უნდა ითამაშონო. „ნიქსის“ გამთამაშებელმა კრის ჩილდზმა ფი. ჯეი. ბრაუნს „სულმდაბალი“ უწოდა და დასძინა, რაღა 185 სანტიმეტრიანი უორდი დაიბრიყვა, თუ ბიჭი იყო, ვინმე ჯანიანთან ეჩხუბაო.



**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**კანადა 2:1 შვედეთი**

**შაიბები: ევასონი (ნოლანი 19), ნოლანი (ევასონი, გრინი 22), ნიულანდერი (59)**

# კანადამ რუსეთს გაუსწრო



შვედების დამარცხებით კანადამ 2 წლით დაკარგული მსოფლიოს ჩემპიონობა დაიბრუნა. ამ გამარჯვებათა შუალედში, 1995-96 წლებში, კანადელებმა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც მოიგეს. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, კანადელები აღმავლობის გზაზე დგანან.

მატჩის წინ სპეციალისტები ფავორიტებად შვედებს მიიჩნევდნენ, რადგან ისინი კანადელებზე უფრო სტაბილური თამაშით მივიდნენ ფინალამდე. გადამწყვეტი შეხვედრა ორივე გუნდმა მწვავე შეტევებით დაიწყო, მაგრამ მერე ტემპი შენელდა — საზრიანი, პრაგმატული, კომბინაციური თამაში არჩიეს და ნათელი გახდა, რომ არც ეს შეხვედრა იქნებოდა უხვგოლიანი. ამ ვითარებით კანადელებმა უკეთ ისარგებლეს და ორიოდ წუთში ორჯერ იხეირეს. ამის შემდეგ შვედებმა იძალეს, მეორე შეხვედრისგან განსხვავებით მეტიც მოინდომეს, მაგრამ დაღლა შეეტყოთ. ბრწყინვალედ ითამაშა კანადელთა მეკარე ბურკმა (31 მოგერიება), ამიტომ შვედებს ძალა აღარ ეყოთ და მატჩის მიწურულს წინააღმდეგობა შეწყვიტეს. ამ დროისთვის ამერიკელმა არბიტრმა ადამმა უსაფუძვლოდ გააძევა კანადელი პრონგერი. უკვე გატეხილმა შვედებმა ამითაც ისარგებლეს, გასავათებულებმა ერთი გოლი გაქვითეს, მეტი კი ველარ მოახერხეს.

კანადელებმა ღირსეულად დაიბრუნეს ჩემპიონის წოდება. ერთი რომ, ისინი სხვებზე სერიოზულად მოემზადნენ ჩემპიონატისთვის, მეორეც, წინა წლებისგან განსხვავებით უფრო დისციპლინიანი და შეკრული გუნდი ჰყავდათ. მიუხედავად იმისა, რომ კანადის გუნდში ბევრია ისეთ ვარსკვლავი, რომელთაც დიდოსტატური ინდივიდუალური თამაში ძალუძთ, ისინი მაინც კომბინაციურობით გამოირჩეოდნენ. გუნდურმა სულისკვეთებამ კი თავისი გაიტანა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, უპირველესად მწვრთნელ მიურეის დამსახურებაა, რომელმაც შეძლო სხვადასხვა ხასიათისა და სხვადასხვა სტილის ჰოკეისტთა შეთამაშება. შვედეთის ნაკრების წარმატება კი მხოლოდ ნიულანდერისა და მისი სამეულის კარგ შედეგს ემყარებოდა. აღსანიშნავია, რომ კანადელთაგან ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში მხოლოდ მცველი ბლეიკი დაასახელეს, ბომბარდირთა ათეულშიც მარტო ერთი კანადელი მოხვდა — გრინი 11 (5+6).



AFP ფოტოქრონიკიდან

შვედების კაპიტულაცია

კანადელებმა 21-ედ გაიმარჯვეს მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში და გაუსწრეს რუსებს, რომლებიც ოცჯერ იყვნენ ჩემპიონები.

**ბომბარდირები:** მ. პროჰაზკა და ვუიტეკი (ორივე ჩეხეთი) 14 (7+7), ნიულანდერი (შვედეთი) 11 (6+5), გრინი (კანადა) 11 (5+6), პატერა (ჩეხეთი) 11 (3+8), დიუბე (საფრანგეთი) 10 (7+3), ზნაროკი (ლატვია) 10 (3+7), ძარილო და ორლანდო (ორივე იტალია) 9 (5+4), ვიტოლინში 9 (4+5), კერჩი (ორივე ლატვია) 8(4+4), ბარკოვი და პროკოპიევი (ორივე რუსეთი) 8 (3+5), იონსონი (შვედეთი) 7 (5+2)

**საუკეთესო მცველები:** ჩუდინოვი (ლატვია) 7 (4+3), სტრიომბერგი (ფინეთი) 6 (3+3), ნარდელა 5 (3+2), ბარტოლონე (ორივე-იტალია) 5 (2+3), ბლეიკი (კანადა) 5 (1+4), სვენსონი (შვედეთი) 5 (0+5)

**საუკეთესო სამეულები:** ვუიტეკი (7), პატერა (3), მ. პროჰაზკა (7) — 17 (ჩეხეთი); ორლანდო (5), ძარილო (5), ტოპატიგი (1) — 11 (იტალია); ნიულანდერი (6), ფალკი (2), ეკლუნდი (3) — 11 (შვედეთი); ვიტოლინში (4), ზნაროკი (3), პავლოვიჩი (3) — 10 (ლატვია)

**ჩემპიონატის საუკეთესონი:** *მეკარე* სალო (შვედეთი), *მცველი* ბლეიკი (კანადა), *თავდამსხმელი* ნიულანდერი (შვედეთი)

**სამველ ლარიბიანი**

# შაკიკი საკიკისგან

**NHL. სტენლის თასი**

**კოლორადო 1-0 დეტროიტი**

**კოლორადო — დეტროიტი 2:1**

**შაიბები: შენაჰანი (0:1), საკიკი (1:1), რიჩი (2:1)**

მთელი სეზონის მანძილზე ამ ორ გუნდს შორის ზავის ჩამოგდება ვერა და ვერ მოხერხდა და ყველა შეხვედრა ჩხუბითა და აყალმაყალით მთავრდებოდა. გულშემატკივართა და ჩხუბის მოყვარულთა მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ამ მატჩმა მეტად კორექტულად და მშვიდად ჩაიარა. ასევე მოულოდნელი იყო მატჩის დასაწყისიც — ინიციატივას სტუმრები დაეუფლნენ, არადა, ცნობილია, რომ კოლორადო შინ მუდამ აქტიურობს და თავად იჩენს ხოლმე ინიციატივას და მაინც, პირველი პერიოდი თანაბარი იყო, მეორეში კი, „წითელფრთიანებმა“ ნამდვილი შტურმი მოუწყვეს მეტოქეს — სამჯერ გააგზავნეს შაიბა მათი კარის მიმართულებით, მაგრამ გატანა მაინც ვერ შეძლეს.

პირველი გოლი დეტროიტელმა შენაჰანმა გაიტანა, მაგრამ 27 წამში კოლორადოელმა საკიკმა გაქვითა. საკიკმა მეორე საგოლე კომბინაციაც წამოიწყო, რომელიც კლოდ ლემიემ გააგრძელა და რიჩიმ გოლით დაასრულა.

ამ გოლით საკიკი ბომბარდირთა ათეულს სათავეში მოექცა 21 (5+16) ქულით, ლემიე კი 20 (10+10) ქულით მეორეა. დარჩენილ დროში დეტროიტმა ბევრი იაქტიურა, მაგრამ მასპინძელთა მეკარე რუა (34 მოგერიება) შეუდარებელი იყო და კოლორადოელებმა ზედიზედ მეთერთმეტე თამაშიც მოიგეს. დავძენ, რომ „ეველანშის“ რიგებში კვლავ გამოჩნდა მათი საუკეთესო ფორვარდი ფორსბერგი.

**სამველ ლარიბიანი**


სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი

და

საქართველოს ნარდის ფედერაცია

24-26 მაისს

სალონ „ფერიაში“

ჭავჭავაძის პროსპექტი, 49 ა, სპორტსახდეპარტამენტის შენობაში

ა წ ყ ო ბ ე ნ

საქართველოს ჩემპიონატს სპორტულ ნარდში

მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყება 24 მაისის 12 საათიდან, ტურნირი დაიწყება 15 საათზე.

# ვინც შეუტევს, მოიგებს?

## რა კარგი იყო თბილისში

### „ვაზარაშვილის" შურისძიება

გიორგი ვაზაგაშვილმა მორიგი შეხვედრა მოიგო იპონით, ერთ-ერთმა მსაჯმა კი ჩაილაპარაკა, ხედავთ, 60 კილოგრამის მოჭიდავე 65-შიც რა კარგად ასპარეზობსო. როცა იმ მსაჯს უთხრეს, რომ გია 65-ში კი არა, 71-ში გამოდისო, გაოცებისაგან ხმაც ვერ ამოიღო. ვაზაგაშვილმა რა სასწაულიც მოახდინა, ამაზე წინა „სარბიელში" ვწერდით და თავს აღარ შეგაწყენთ. ენამახვილმა ძიუდოს ექსპერტებმა მისი ხელახალი გაჩემპიონების შემდეგ გვითხრეს, იქნება გვარი გადაუკეთოთ და „ვაზარაშვილად" ჩაწეროთო. თუკი ასეა, გიორგის უფრო „იპონაშვილი" მოუხდება, რადგან ოსტენდეს ტატამზე ჩატარებული ხუთივე შეხვედრიდან ყველა იპონით მოიგო, თანაც ერთადერთხელ დასჭირდა სამ წუთზე მეტის ჭიდაობა.

ისიც გეხსომებათ, რომ ვაზაგაშვილმა ბრიუსელში ჩასვლისთანავე ავტობუსის მძღოლის დაუდევრობის გამო ჩანთა დაკარგა. სწორედ მაშინ თქვა დავით ხახალეიშვილმა, გია უეჭველად ჩემპიონი გახდება, რადგან 1993 წელს ათენში მეც დავკარგე ჩანთა და ევროპის ჩემპიონატზე ორი ოქრო ავიღეო. დათოს წინასწარმეტყველება კი ასრულდა, მაგრამ ვაზაგაშვილს დაკარგულის სანაცვლოდ მხოლოდ ორი კიმანო მოუტანეს. დანარჩენის საფასურს სატრანსპორტო ფირმა აგინაზღაურებთო, გვითხრეს, მაგრამ მისი ასავალ-დასავალიც კი ვერ გავიგეთ. საქმეში ევროპის ძიუდოს კავშირის დიდმოხელეებიდან დაწყებული, უბრალო მძღოლებით დამთავრებული, ყველა ჩავრთეთ, მაგრამ სანამ ამათ აქეთ-იქეთ გვაგზავნეს, წამოსვლის დროც მოვიდა.

ბელგიელებს ყველაზე კარგი სამაგიერო თვითონ ვაზაგაშვილმა გადაუხადა, როცა ერთი ჩანთა ოქროს მედლად დაუფასა. გია იმას ნატრობდა, ნეტავ ბელგიელი ძიუდოისტი შემხვდეს, აქაურებს ცხვირწინ დავუხეთქო და ჯავრი ამოვიყაროო. არც ეს გამოვიდა, რადგან მასპინძლებს 71 კგ-ში მონაწილე არ ჰყოლიათ.

### „ეს რა ჰქენი, ჯიქურაულო?!"

— ჰკითხა ივერი ჯიქურაულს ნახევარფინალის მერე მსოფლიოს უძლიერესმა ძიუდოისტმა, ყველაფრის ჩემპიონმა პოლონელმა პაველ ნასტულამ (რომელსაც ოსტენდეში არ უჭიდავია) და გააგრძელა: „რაღად გინდოდა ილეთი, ხომ ისედაც იგებდი. ცოტა გაჩერებულიყავი, ცოტა ხელი გეკრა, ცოტა დრო გაგეყვანა და ფინალში იყავი."

იგივე უთხრეს ჯიქურაულს ჩვენი ნაკრების მწვრთნელებმა და, საერთოდ, ვინც მისა და ფრანგი გისლენ ლემერის ნახევარფინალს უცქირა, ყველა ამასვე ეტყოდა. საწყენი კი ის არის, რომ ნახევარფინალის დამთავრებამდე 44 წამით ადრე ივერის მთელს ჩემპიონატზე შეცდომა რაა, უზუსტობაც კი არ დაუშვია. ყველა მეტოქეს გონივრულად მოუგო და დახვეწილადაც იჭიდავა.

ლემერმა რომის ტურნირზე წმინდად დაამარცხა ჯიქურაული. ახლა სიტუაცია შეიცვალა და ჩვენებურმა ყველაფერში დაჩაგრა ფრანგი. უპირატესობა სულ მისი იყო — შეუსვენებლივ უტევდა, მერე ფეხი ფეხში გამოარტყა და კოკა აიღო. ჯიქურაულმა ფიზიკურადაც დაჩაგრა მეტოქე ისე, რომ ამან ერთხელ ექიმიც კი გამოაძახებინა. სწორი ჩავლებით ჯიქურაული ლემერს განძრევის საშუალებას არ აძლევდა, რის გამოც ფრანგი შიდოთი გააფრთხილეს. ასე დარჩა დამთავრებამდე ის დაწყევლილი 44 წამი და ივერიმ ჩავლება შეცვალა: თუკი აქამდე კისერში ავლებდა, ახლა ხელი მეტოქის ბეჭებისკენ წაიღო. ეშმაკმა ლემერმა წამიერი გათავისუფლება რომ იგრძნო, დიდხანს არ უფიქრია, გარისკა და ჩვენებური უკან გადაჩეხა — იუკო. ფრანგმა ჩოქბჯენში გააგრძელა ჭიდაობა და დროც საფუძვლიანად გაიყვანა. წამოდგომის შემდეგ ჯიქურაულს მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო აღარ ეყო. ისე ბოლო წამზე გაფრთხილების იმედით ლემერი წითელ ხაზს მიღმა გაიყვანა, მაგრამ ეს წყალწაღებულისა და ხავსის ამბავს უფრო ჰგავდა. ამ ერთადერთი შეცდომის გამო ივერიმ მედალი დაკარგა, რასაც ნაღდად არ იმსახურებდა — მანამდე შესანიშნავად ჩატარებული შეხვედრების გამო.

### მსხვერპლადშეწირული სოსო

სოსო ლიპარტელიანი რომ არ შეგცოდებოდა, ქვის გული უნდა გქონოდა. ჯერ იყო და, დაახლოებით 10 კილოგრამის დაკლებამ მოუწია, მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის მეთვალყურეობით ეს საქმე აზრიანად გააკეთა და წონის კლებიდან გამომდინარე პრობლემებს არ შეუწუხებია. ლიპარტელიანი შესანიშნავ ფორმაში გავიდა საჭიდაოდ, სადაც მეტოქედ ფინელი მატი ლატუ ჰყავდა ერთი საშუალო ნიჭისა და ჯანიანი ძიუდოისტი. აქ მოგებული ბელგიელ იოჰან ლაატსს ხვდებოდა, შემდეგ კი ნახევარფინალი იყო, სადაც უკვე გასული იყო ჭაბუკი ესტონელი ბუდოლინი. ეს მასპინძლებმაც გათვალეს და ლიპარტელიან-ლატუს შეხვედრაზე ბელგიელი მსაჯი შეუშვეს. ამანაც დაიწყო... სოსო უტევდა და აფრთხილებდნენ, ფინელი ტატამზე ხოხავდა და მაინც სოსოს აფრთხილებდნენ. ბოლოს ლიპარტელიანი მოხსნეს, რითაც ბელგიელ ლაატსს ოლიმპიური პრიზიორი ააცილეს. ლაატსმა იოლად მოუგო ფინელს და სოსოც ველარ ჩაერთო სანუგეშო ტურნირში. ერთი რამ კი დანანებით თქვა, ამ დალოცვილებს არ გავეფუჭებინეთ, სანაცვლოდ ბელგიელს შეხვედრას დავუთმობდი და მესამე ადგილისთვის მაინც გავაგრძელებდი ბრძოლასო. ეს ამბავი ბელგიელ მწვრთნელებს მოვუყევი, ამათ კი თქვეს, რას იზამ, ეგეთ რამეებს ჩვენ არ ვწყვეტთო.

მსაჯობაზე აქვე ვთქვათ. ევროპის ჩემპიონატზე კვალიფიციურმა არბიტრებმა კი მოიყარეს თავი, მაგრამ ბელგიელთა მიმართ გამოჩენილი სიმპატია მაინც არ დაიმალა. უსამართლობის სანიმუშო მაგალითი 86 კგ-ის ნახევარფინალში მოხდა. ჰოლანდიელმა მარკ ჰუზინგამ პირდაპირ ათრია ბელგიელი დე კუმანი, მაგრამ გაფრთხილებები თავად მიიღო. მან ორჯერ დასცა მასპინძელი, მაგრამ ერთხელ მარტო კოკა გაიმეტეს, მეორედ კი საერთოდ არაფერი, ბოლო წუთი ანეკდოტური იყო: ჰუზინგა მთელს ტატამზე დასდევდა დასაჭერად დე კუმანს, ეს კი დამნაშავესავით გაურბოდა. ბოლოს, როცა მეტი აღარ შეიძლებოდა, მსაჯებმა ბელგიელი გააფრთხილეს და ჰოლანდიელმა მოიგო. ორ ბელგიელ გოგოს კი ჩემპიონობა აჩუქეს: ბელარუსმა კარიცკაიამ ფინალში ვაზარიზე დააგდო მასპინძელი კლემენტი. მსაჯები დაფაცურდნენ და უპატრონო ბელარუსი გაფრთხილებებით სასწრაფოდ კეი-კოკუმდე აიყვანეს, მერე კოკაც გამოუგონეს და ოქროს მედალი წაართვეს. ესპანელმა ფერნანდესმა კი ტატამზე რტყმევით ლამის თავი გაუჩეჩქვა ბელგიელსავე ლომბას, მაგრამ არც შეფასება ელირსა და ხანტეიზეც არავინ დაანახა მისი კიმანოსფერი დროშა.

### ულ-ლა-ლა!

ბელგიელ ძიუდოისტთაგან რამდენიმეს სულაც არ დსჭირვებია დახმარება. პირველ რიგში ულა ვერბრუკს, ყველაფრის ჩემპიონს. ამ გოგომ მეოთხედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა და რეკორდიც დაამყარა: 1989 წლის შემდეგ ყველა ევროპის ჩემპიონატზე საპრიზო სამეულშია. ვერბრუკს რომ არ იცნობდე, გეგონება, გორელი ან საგარეჯოელი ბიჭი ჭიდაობსო: ქართული ფანდების (ნამგალა, ამოსმული, გარეფეხი) ესოდენ მდიდარი არსენალის მქონე მოჭიდავე საქართველოშიც არ იქნება ბევრი. თუმცა, ულას სიმძლავრეზე ამჟამად არ გვსურს საუბარი. საინტერესო ის გახლდათ, თუ როგორ მოიპოვა ამ გოგონამ გულშემატკივართა ამგვარი სიყვარული, რომელიც ფანატიზმთან იყო მიახლოებული. თავად განსაჯეთ: ჩემპიონატი დაწყებული არ იყო, როცა მთელ ოსტენდეს მოედო საგანგებოდ დამზადებულ ქუდებსა და მაისურებში გამოწყობილი ხალხი (ახალგაზრდებიც და ასაკოვანებიც). მათ ყველგან „ულა" ეწერათ და მოშლილი ფირფიტასავით გაუჩერებლად მღეროდნენ რაღაც სიმღერას, რომლის ყველა სტრიქონი „ულ-ლა-ლა"-თი მთავრდებოდა. დარბაზს ხომ ნუღარ იკითხავთ, ისეთი ღრიანცელი იდგა, პრემიერლიგის თამაში მონაგონია. შეჯიბრებათა გარკვეული რაოდენობას კი დავსწრებივარ, მაგრამ მსგავს გულშემატკივრობას არსად გადავყრივარ. ის კი არა, ძიუდოისტებიც, ჩვენებიც და უცხოელებიც, მთელი დუნია რომ მოუვლიათ და სადღა არ უჭიდავიათ, შეთქმულებივით ამას ამბობდნენ, ამგვარი რამე იაპონიაში იაპონელი ფინალს რომ ჭიდაობდა, იქაც კი არ ყოფილაო. ყველა ფინალს დაესწრო ბელგიის მეფე, რომელსაც, ალბათ, ეტიკეტი თუ უკრძალავდა თვისტომ გულშემატკივრებში გარევას. იგი ყველა ბელგიელ ჩემპიონს პირადად ულოცავდა გამარჯვებას, ხოლო ვერბრუკი მთლად გულში ჩაიკრა და შვილივით თუ შვილიშვილივით ჩაკონცა.

ვერბრუკმაც გაამართლა. ჩემპიონი ხომ გახდა და გახდა, ამის გარდა ევროპის 1996 წლის საუკეთესო ძიუდოისტის ტიტულიც დაიმსახურა. ეს გამოკითხვა ევროპის ძიუდოს კავშირმა მოაწყო და აზრს ევროპულ მედიას დაეკითხა. იმასაც დავსძენთ, რომ ამ გამოკითხვაში პირველად მიიღო მონაწილეობა ქართულმა გამოცემამ, სწორედ იმ გაზეთმა, ახლა, რომ კითხულობთ. ქალებში ჩვენც ვერბრუკს მივანიჭეთ უპირატესობა. ჩვენი რჩეული ვაჟიც ევროპის 1996 წლის საუკეთესო ძიუდოისტი გახდა. ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს მისი ვინაობა — რა თქმა უნდა, პაველ ნასტულა. ორივე ძიუდოისტი ფინალების წინ დააჯილდოვეს საგანგებოდ შეკვეთილი იაპონელი სამურაების ულამაზესი ხმლებით.

### თბილისში რომ ტურნირი იყო...

ბელგიელთა გულშემატკივრობის შემყურე, მრავალი ქვეყნის ძიუდოისტები და მწვრთნელები გვეუბნებოდნენ, თავის დროზე თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ქომაგობა სანიმუშო იყოო. აქ მაყურებელი მხოლოდ ხმაურობს, თქვენებურებმა კი ძიუდო ნიუანსებში იციან და ყველა ფანდზე თუ საქციელზე რეაქციაც ადეკვატური აქვთო. ყველა სიხარულს გამოთქვამდა ტურნირის აღდგენასთან დაკავშირებით და გვპირდებოდა, მონაწილეობას აუცილებლად მივიღებთო. რა იქნება კონკრეტულად, 26-27 ივლისს გამოჩნდება, როცა დიდი ძიუდო კვლავ დაუბრუნდება სპორტის სასახლეს. ევოპის ძიუდოს კავშირმა კი უკვე ოფიციალური დელეგატები დანიშნა: კავშირის ვიცე-პრეზიდენტი რუსი გენადი კალეტკინი და გენერალური მდივნის მოადგილე პოლონელი მეჩისლავ ბიგოუევსკი. ეს ორივე ბატონი ქართული ძიუდოს დიდი პატივისმცემელია და თავადაც ცდილობენ, რომ აღდგენილმა ტურნირმა წარმატებით ჩაიაროს. ოსტენდეში მათ საკონსულტაციო შეხვედრა მოუწყვეს ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელსა და ამ სტრიქონების ავტორს. ერთი სიტყვით, ოსტაპ ბენდერისა არ იყოს, ევროპა მხარს დაგვიჭერს, მთავარია ცოტა ჩვენც მივდგე-მოვდგეთ და არსებობს იმის რეალური პერსპექტივა, რომ გაისად ჩვენი ტურნირი „ა" კატეგორიისა გახდეს, ხოლო 2000 წელს, სიდნეის თამაშების ლიცენზიების ბედიც გადაწყვიტოს.

### აქ დასვენება სჯობს ჭიდაობას

„ოსტენდე შესანიშნავი კურორტია, მაგრამ მეტად პატარაა საიმისოდ, რომ ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლოს" — აი, ჩემპიონატის მონაწილეთა აზრი ამ ქალაქზე. იქ მართლაც ყველაფერია ხეირიანად დასასვენებლად და დროის გასატარებლად. მაგრამ, ქალაქი, რომელსაც არა აქვს ერთი დიდი სასტუმრო, სადაც ყველა მონაწილე ერთდროულად განთავსდება, წინასწარ განწირულია წარუმატებლობისათვის. შეჯიბრებაში 39 ქვეყანა მონაწილეობდა და ძიუდოისტები 21 (!) პატარა სასტუმროში იყვნენ მიმოფანტულნი. ამან თავისთავად წარმოქმნა ტრანსპორტირების პრობლემა. ჩემპიონატის დაწყებამდე ავტობუსები ვერ აუდიოდნენ ძიუდოისტების სასტუმროდან დარბაზში გადაყვან-გადმოყვანას. გუნდები ძირითადად დაგვიანებით იწყებდნენ და ამთავრებდნენ ვარჯიშს, რითაც გრაფიკი ერღვეოდათ. შეჯიბრება რომ დაიწყო, ორგანიზატორებმა ფითქოს გამოსავალი ნახეს: მონაწილეები უნდა მისულიყვნენ ჩემპიონატის ოფიციალური სასტუმროს „ანდრომედას" წინ (ამ სასტუმროში დანიშნეს აწონვები და ცხოვრობდნენ მხოლოდ ბელგიის ნაკრები და ევროპის ძიუდოს კავშირის დიდმოხელეები) და იქიდან დარბაზში ყოველ 15 წუთში მიდიოდა ავტობუსი. ვერც ამან გადაჭრა პრობლემა ბოლომდე — გუნდების უმრავლესობა „ანდრომედადან" 10-15 წუთის სავალზე ცხოვრობდა (ტურისტისთვის ეს შესანიშნავი მანძილია, ძიუდოისტისთვის კი, რომელიც წონადაკლებული მიდის საჭიდაოდ და თან დიდი ჩანთაც უნდა ათრიოს, რა მოგახსენოთ) და იქამდე თავისით უნდა მისულიყო. ზოგი ტაქსით სარგებლობდა, ზოგიც ტრამვაით, რომელიც ჩემპიონატის მონაწილეთათვის უფასო იყო, მაგრამ გარკვეული დისკომფორტი მაინც იქმნებოდა. ჩვენ ძლიერ შეგვეშველნენ საქართველოს ელჩი ბენილუქსის ქვეყნებში ზურაბ აბაშიძე და თბილისელი ექიმი, სპორტის დიდი ქომაგი ზაზა ბოკერია. ისინი საქართველოს ნაკრების საქომაგოდ ჩამოვიდნენ ოსტენდეში და თავიანთი მსუბუქი ავტომანქანებით ჩვენი გუნდის მიმოსვლასთან დაკავშირებული პრობლემებიც ერთბაშად მოიხსნა.

ოსტენდეს დარბაზში არ იყო მონაწილეთათვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილები, რაც ევროპის ჩემპიონატზე კი არა, ჩვეულებრივ ტურნირზეც კი აუცილებელია. ძიუდოისტები უნდა დამსხდარიყვნენ იქ სადაც თავისუფალ ადგილს ნახავდნენ. თუკი არავინ შეგაწუხებდა, რა გიჭირდა, მაგრამ თუ ბილეთიანი მაყურებელი მოვიდოდა, მონაწილეობა უნდა დაგვეწყებინა და სხვა ადგილი გეძებნა. თავად ენახე, როგორ ააგდო ოლიმპიური ჩემპიონი ჯამელ ბურა ვიღაც პატარა ბიჭმა, ჩემს ადგილას რატომ ზიხარო. ბურაც ადგა და ნახევარი დარბაზი მოიარა, სანამ თავისუფალ ადგილს იპოვიდა. დიდ იასუჰირო იამასიტას, რომელმაც ძიუდოში მთელი ეპოქა შექმნა და რომლის ბადალი არათუ ძიუდოისტი, სპორტსმენიც კი ძნელი მოსაძებნია, შემთხვევით გადაუცდა ფეხი განსაკუთრებით საპატიო სტუმართა ტრიბუნისკენ. წამსვე უნიფორმაში გამოწყობილი კაცი მიეჭრა და, თქვენ აქ ყოფნა არ გეკუთვნითო, უთხრა. თავმდაბალმა იამასიტამ იაპონური თავაზიანობით იქით მოიხადა ბოდიში. მე კი ის გამიკვირდა, მასზე საპატიო კაცი ვინ უნდა მოსულიყო ძიუდოს საცქერლად. ერთ თბილისური ანეგდოტი გამახსენდა, იამასიტას იქ არშეშვება იგივე იყო, ლენინი პარტიულ კრებაზე რომ არ შეეშვათ...

### წინ პარიზია

ორგანიზაციულმა ლაფსუსებმა უშუალოდ შეჯიბრების ხარისხზე ვერ იმოქმედა. ჩემპიონატი მაღალი დონისა იყო, თითო-ოროლას გამოკლებით, კონტინენტის ყველა უძლიერესმა ფალავანმა იჭიდავა. მით უფრო გასახარია ჩვენებურთა თითო ოქრო და ვერცხლი. ნურც იმას გადავუსვამთ ხაზს, რომ ექვსი ქართველი ფალავანი თავ-თავიანთი წონების საუკეთესო შვიდეულში მოხვდა. ეს ჩვენი გუნდის სტაბილურობაზე მეტყველებს.

ოსტენდეში შემტევი ძიუდოს ზეიმი იყო. შერკინებათა უმრავლესობა იპონით დამთავრდა. უფრო კონკრეტულად: 16 ფინალიდან 12-ში ალინუსხა წმინდა გამარჯვება, ორში — ვაზარი, თითოში — კოკა და ხანტეი. აშკარად ჩანდა, რომ ძიუდოისტები დაცვით თავს არ იკლავდნენ და საქმის მოთავებას სწრაფად ცდილობდნენ. არც ჩოქბჯენში გადაწყვეტილა ძალიან ბევრი შეხვედრის ბედი —ფანდები ძირითადად დგომიდან კეთდებოდა.

ძიუდოს რამდენიმე ცნობილ ექსპერტთან სახელდახელო საუბრებიდან ეს აზრი გამოვიტანე: ამ ჩემპიონატზე ჭიდაობა ძალიან ლამაზი და ეფექტური კი იყო, ოღონდ პრაგმატიზმისა და რაციონალიზმის ელემენტები ნაკლებად შეიმჩნეოდა. თუ ამგვარად იჭიდავეს, ევროპულ ძიუდოისტებს ძალიან გაუჭირდებათ მსოფლიოს ჩემპიონატზე რომელიც 9-12 ოქტომბერს პარიზში გაიმართება. აზიელები და ზოგი ლათინამერიკელები (ბრაზილიელები, კუბელები), დიახაც მოხარულები იქნებიან, თუკი ევროპელები შეუტევენ, რადგან ბოლო დროს ისინი დაცვიდან ჭიდაობენ და მთელი ტაქტიკა მეტოქის გამოჭერაზე აქვთ აწყობილი. რა მოხდებოდა პარიზში, არავინ იცის, მე უბრალოდ ძიუდოს სპეციალისტთა აზრი მოგახსენეთ. ევროპის მომდევნო, 1998 წლის ჩემპიონატს კი ესპანეთის ქალაქი ოვიედო უმასპინძლებს. ნეტავ, იქ რაღა მოხდება?

**მერაბ რატიშვილი**
**საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი**
ოსტენდე — თბილისი

მედლები

| კაცები | ო | ვ | ბ |
|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 1 | - |
| ბელგია | 2 | - | 2 |
| თურქეთი | 2 | - | 1 |
| საქართველო | 1 | 1 | - |
| ბელარუსი | 1 | - | - |
| საფრანგეთი | - | 3 | 2 |
| ავსტრია | - | 1 | 1 |
| გერმანია | - | 1 | 1 |
| რუსეთი | - | 1 | - |
| ბრიტანეთი | - | - | 2 |
| პორტუგალია | - | - | 1 |
| იტალია | - | - | 1 |
| ლიტვა | - | - | 1 |
| იუგოსლავია | - | - | 1 |
| რუმინეთი | - | - | 1 |
| პოლონეთი | - | - | 1 |
| ესტონეთი | - | - | 1 |

| გაერთიანებული | ო | ვ | ბ |
|---|---|---|---|
| ბელგია | 6 | - | 3 |
| გერმანია | 2 | 2 | 2 |
| ჰოლანდია | 2 | 2 | 2 |
| თურქეთი | 2 | - | 1 |
| საფრანგეთი | 1 | 3 | 6 |
| ბელარუსი | 1 | 1 | 1 |
| საქართველო | 1 | 1 | - |
| პოლონეთი | 1 | - | 4 |
| ბრიტანეთი | - | 2 | 3 |
| ესპანეთი | - | 2 | 1 |
| რუსეთი | - | 1 | 2 |
| ავსტრია | - | 1 | 1 |
| ჩეხეთი | - | 1 | - |
| რუმინეთი | - | - | 1 |
| იტალია | - | - | 1 |
| იუგოსლავია | - | - | 1 |
| ესტონეთი | - | - | 1 |
| პორტუგალია | - | - | 1 |
| ლიტვა | - | - | 1 |

### ევროპის ჩემპიონატი. ოსტენდე

**კაცები**

60 კგ: 1. რაშად მეჰდიევი (ბელარუსი), 2. იასინ [illegible] (საფრანგეთი), 3. პედრო კარავანა (პორტუგალია) და ჯიროლამო ჯოვინაცო (იტალია)... 7. ნესტორ ხერგიანი (საქართველო)

65 კგ: 1. ჰუსეინ ოზქანი (თურქეთი), 2. გიორგი რევაზიშვილი (საქართველო), 3. ლარბი ბენბოდაუდი (საფრანგეთი) და ჟულიან დევისი (ბრიტანეთი)

71 კგ: 1. გიორგი ვაზაგაშვილი (საქართველო), 2. ანატოლი ლარიუკოვი (რუსეთი), 3. დანი კინგსტონი (ბრიტანეთი) და კრისტოფ გალიანო (საფრანგეთი)

78 კგ: 1. იოჰან ლაატსი (ბელგია), 2. ჯამელ ბურა (საფრანგეთი), 3. პატრიკ რაიტერი (ავსტრია) და დირკ რადზატი (გერმანია)

86 კგ: 1. მარკ ჰუზინგა (ჰოლანდია), 2. სერგეი კლიშინი (ავსტრია), 3. დაან დე კუმანი (ბელგია) და ალგიმანტას მერკევიჩუსი (ლიტვა)... 7. გიორგი წმინდაშვილი (საქართველო)

95 კგ: 1. ბენ სონემანსი (ჰოლანდია), 2. გისლენ ლემერი (საფრანგეთი), 3. დანო პანტიჩი (იუგოსლავია) და ივან რადუ (რუმინეთი)... 5. ივერი ჯიქურაული (საქართველო)

მძიმე: 1. სელიმ თათაროღლუ (თურქეთი), 2. დენის ვან დერ გეესტი (ჰოლანდია), 3. რაფალ კუბაცკი (პოლონეთი) და ჰარი ვან ბარნეველდი (ბელგია)

აბსოლუტური: 1. ჰარი ვან ბარნეველდი (ბელგია), 2. ფოლკერ შეიერი (გერმანია), 3. ინდრეკ პერტელსონი (ესტონეთი) და სელიმ თათაროღლუ (თურქეთი)... 7. ალექსი დავითაშვილი (საქართველო)

**ქალები**

48 კგ: 1. სილვი მელუ (საფრანგეთი), 2. ანა მარია გრადანტე (გერმანია), 3. სვეტლანა კომაროვა (რუსეთი) და ტატიანა მოსკვინა (ბელარუსი)

52 კგ: 1. ინგე კლემენტი (ბელგია), 2. ელენა კარიცკაია (ბელარუსი), 3. მარი-კლერ რესტუ (საფრანგეთი) და ლიუდმილა ხრამოვა (რუსეთი)

56 კგ: 1. მარი იზაბელ ლომბა (ბელგია), 2. იზაბელ ფერნანდესი (ესპანეთი), 3. ბეატა კუხარჟევსკა (პოლონეთი) და მაგალი ბატო (საფრანგეთი)

61 კგ: 1. გელა ვანდეკავეე (ბელგია), 2. მიჰაელა ვერნეროვა (ჩეხეთი), 3. ირენა ტოკარჟი (პოლონეთი) და სევრინ ვანდენენდე (საფრანგეთი)

66 კგ: 1. ივონ ვანსარტი (გერმანია), 2. ურსულა მარტინი (ესპანეთი), 3. კლაუდია ზვიერსი (ჰოლანდია) და ქეით პაუი (ბრიტანეთი)

72 კგ: 1. ულა ვერბრუკი (ბელგია), 2. ქლოუ ქაუენი (ბრიტანეთი), 3. კარინ კინშუიზე (ჰოლანდია) და უტა კიუნენი (გერმანია)

მძიმე: 1. იოჰანა ჰანი (გერმანია), 2. მიშელ როჯერსი (ბრიტანეთი), 3. სელინ ლებრუნი (საფრანგეთი) და ბეატა მაქსიმოვი (პოლონეთი)

აბსოლუტური: 1. ბეატა მაქსიმოვი (პოლონეთი), 2. ფრანსუაზ ჰარტეველდი (ჰოლანდია), 3. ბრიჯიტ ოლივიე (ბელგია) და რაქელ ბარიენტოსი (ესპანეთი)

### ქართველები ევროპის ჩემპიონატზე

60 კგ. ნესტორ ხერგიანი: კენძი უემაცუ (ესპანეთი) 10:0, ულდუზ სულთანოვი (აზერბაიჯანი) 7:0, ჯიროლამო ჯოვინაცო (იტალია) 0:10, მელვგ მელკე (გერმანია) 1:0, პედრო კარავანა (პორტუგალია) 0:5

65 კგ. გიორგი რევაზიშვილი: ერნსტ ჰოფერი (ავსტრია) 10:0, მარიუს პავიდისი (ლიტვა) 10:0, იოჟეფ ჩაკი (უნგრეთი) 10:0, გაბრიელ ბენგსტონი (შვედეთი) 10:0, ჰუსეინ ოზქანი (თურქეთი) 0:10

71 კგ. გიორგი ვაზაგაშვილი: ბექთაშ დემირელი (თურქეთი) 10:0, ჟივან მიხაილოვიჩი (იუგოსლავია) 10:0, დანი კინგსტონი (ბრიტანეთი) 10:0, რაფალ კოზიელევსკი (პოლონეთი) 10:0, ანატოლი ლარიუკოვი (რუსეთი) 10:0

78 კგ. სოსო ლიპარტელიანი: მატი ლატუ (ფინეთი) 0:10

86 კგ. გიორგი წმინდაშვილი: რაიან ბერჩი (ბრიტანეთი) 10:0, დაან დე კუმანი (ბელგია) 0:10, ოლეგ კრეცული (მოლდოვა) 5:0, ალგიმანტას მერკევიჩუსი (ლიტვა) 0:10

95 კგ. ივერი ჯიქურაული: ივან რადუ (რუმინეთი) 10:0, ნიჰად კუკანი (ბოსნია) 10:0, თომას ეტლინგერი (ავსტრია) 10:0, გისლენ ლემერი (საფრანგეთი) 0:5, დანო პანტიჩი (იუგოსლავია) 0:10

მძიმე. დავით ხახალეიშვილი: ტამერლან ტმენოვი (რუსეთი) 10:0, ხარლამპიოს პაპაიოანუ (საბერძნეთი) 10:0, დენის ვან დერ გეესტი (ჰოლანდია) 0:10

აბსოლუტური. ალექსი დავითაშვილი: ხარლამპიოს პაპაიოანუ (საბერძნეთი) 5:0, სელიმ თათაროღლუ (თურქეთი) 0:10, პეტრ ფილკორი (სლოვაკეთი) 10:0, იმრე ჩოსი (უნგრეთი) 0:5

## ჩოგბურთი



# მუსტერი გამოიფიტა

დიდი ამბები ხდება რომის „ფორო იტალიკოზე“: თითქო სამშაბათს პიტ სამპრასის (აშშ, 1) და მაიქლ ჩანგის (აშშ, 2) გავარდნა არა კმაროდა, ოთხშაბათსვე მათ მიეწივნენ თომას მუსტერი (ავსტრია, 3) და რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 5), ხუთშაბათს კი ძმობილთა მწარე ხვედრი გაიზიარა ევგენი კაფელნიკოვმაც (რუსეთი, 4).

მუსტერი ფრიად მეთიხნარედა და „რკინის კაცადაა“ ცნობილი, მაგრამ თაკარა მზეში სამი საათი რომ ერკინა 22 წლის 75-ე ჩოგან სქოთ დრეიპერს (ავსტრალია) და 6:7 (7-4), 7:5, 5:7 წააგო, ისე დაიქანცა, რომ კრინტს ველარ ძრავდა. ამის შემდეგ ექიმებმა დასვენება ურჩიეს იტალიის ორგზის ჩემპიონს, მაგრამ რაღა დროს — საფრანგეთის პირველობა ხომ კარსაა მომდგარი.

უიმბლდონის ჩემპიონი კრაიჩეკი ორი თაი-ბრეიქით (8-6 და 7-1) ძლია გერმანელმა მარკ-კევინ გელნერმა, ბრიტანელი თიმ ჰენმანი (14) კი, მტკივანი იდაყვის გამო სამი თვე რომ იუქმა, 1:6, 6:3, 6:4 დაამარცხა ტურნირს შერჩენილმა ბოლო მასპინძელმა — დავიდე სკალამ. ამან მერე ხუთშაბათს 5:7, 2:6 წააგო იმავე დრეიპერთან.

კაფელნიკოვი ხუთშაბათს ალბერტო ბერასატეგიმ (ესპანეთი) ერთ საათში 6:3, 6:2 დაამარცხა. რუსი კორტიდან სტვენით გააცილეს. მან შენიშნა, საფრანგეთის ჩემპიონობა თუ შევინარჩუნე, სასწაული იქნებაო.

ამ დღის სხვა მერვედფინალებში გელნერმა კიდევ ერთი განთესილი — ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 11) შეიწირა 6:4, 3:6, 6:4. ბორის ბეკერმა (გერმანია, 12) პირველ ხელში 5 სეტ-ბოინტი გაფლანგა და 6:7 (7-9), 3:6 დამარცხდა გორან ივანიშევიჩთან (ხორვატია, 6). ბორისი ისე გაბრაზდა, რომ ჩოგანი კორტს დაანარცხა.

იტალიის ორგზის (1992, 1993) ჩემპიონმა ჯიმ კურიემ (აშშ), წელს განუთესავი რომაა, სამპრასს მარკ როსეც (შვეიცარია, 15) მიაყოლა 7:6 (7-5), 6:3. ესპანელების — ალექს კორეჩასა (10) და კარლოს მოიას (8) თამაში მოიგო პირველმა 6:4, 6:4.

ბერლინში მეათე ჩემპიონობისკენ მიიწევს ასპარეზზე ახლახანს დაბრუნებული შტეფი გრაფი (გერმანია, 1). ოთხშაბათს მან 55 წუთში გაისტუმრა 24 წლის რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი, 15) 6:3, 6:2. იმავე დღეს სანდრინ ტესტიუმ (საფრანგეთი) თაი-ბრეიქებით 11-9 და 9-7 ძლია ლინდზი დავენპორტი (აშშ, 3).

ხუთშაბათს 15 წლის რუსმა ანა კურნიკოვამ, შარშან აშშ-ის პირველობის მერვედფინალში რომ იყო, 3:6, 6:0, 6:3 გააბითურა 25 წლის არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 5), ვინაც გაბრაზებითა თქვა, რუსმა კი არ მოიგო, მე წავაგეო. მარი პირსმა (საფრანგეთი, 12) ისევ დაანგრია კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 4) 6:2, 6:0. „ისევო“ იმიტომ, რომ მარიმ კონჩიტა კვირას, რომში, იტალიის პირველობის ფინალშიც დაამარცხა.

## ველორბოლა

იწყება საიუბილეო, მე-80 „ჯირო“ — იტალიის ველო-ტური. დღეს ვენეციის სანაპირო „ლიდოზე“ 128-კილომეტრა პროლოგია. ფინიში სამი კვირის შემდეგ — 8 ივნისსაა დანიშნული მილანის „პარკო სემპიონეზე“.

დრო იყო, 1909 წელს საფუძვეჩაყრილ ჯიროს საფრანგეთის „ტურის“ ხელა ფასი ედო. მერე ესპანეთის „ვეულტაც“ თანდათან მოდაში შევიდა. იბერიელებმა ბოლო წლებში ჭკუა იხმარეს და თავიანთი შეჯიბრი ველორბოლის „წმინდა სამების“ დანარჩენ ორ წევრს განარიდეს — საშემოდგომოდ გადაიტანეს.

იტალიელები ტრადიციას ერთგულებენ და ზარალში არიან. ირლანდიელი სთივენ როუჩი უკანასკნელი მოჰიკანია: 1987 წელს ბოლომ მოიგო ჯიროც, ტურიცა და მსოფლიო პირველობაც. ჰოდა, ამ მრავლისმნახველ კაცს ახლახანს უთქვამს, დღესდღეობით დატვირთვები ისე გაიზარდა, რომ შეუძლებელია, ერთი სეზონის მანძილზე კაცმა ჯიროშიც ირბოლოს და ტურშიცო.

ვარსკვლავთა უმეტესობა სეზონის პირველ ნახევარში ტურში ასპარეზობას ამჯობინებს, ვუელტამდე კი დასვენებასა და ძალების მოკრებას ასწრებს. ამის გამოა, რომ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (უსი) რეიტინგის პირველი ათეული (!) წლევანდელ იტალიის ტურში არ მონაწილეობს.

## პატივაყრილი ჯირო

საფრანგეთის ტურის შარშანდელ ჩემპიონს, დანიელ ბიარნე რიისს (ტელეკომი) ტიტულის შენარჩუნება სწადია, ონსე-ს ორი ბობოლა, კლასიფიკაციის პირველი და მეორე ნომრები — ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) და ალექს ცულე (შვეიცარია) კი თავს ვუელტასთვის ინახავენ. ჰოდა, დარჩენიათ ასპარეზი რუსებს — შარშანდელ ჩემპიონ პაველ ტონკოვს (მაპეი) და 1994 წლის გამარჯვებულ ევგენი ბერზინს (ბატიკი), აგრეთვე ფრანგ ლიუკ ლებლონს (პოლტი) და იტალიელ მარკო პანტანის (მერკატონე-უნო).

ტონკოვს ხელი აქვს მოტეხილი, მაგრამ წინა კვირას შვეიცარიაში მაინც მოიგო რომანდიის ექვსდღიანი ტური. ამავე შეჯიბრში, წელს იანვარშილა შემოღებულმა სისხლის ტესტმა შეიწირა იტალიელი კლაუდიო კიაპუჩი: მას წითელი ბურთულების შემცველობა 50 პროცენტზე მეტი აღმოაჩნდა, რის გამოც 15-დღიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და ჯიროს გამოატოვებინებენ.

მასპინძელთაგან ბოლომ ჯირო 1990 წელს მოიგო ფრანკო კიოჩოლიმ. წელს იტალიელთა მთავარი იმედი 27 წლის ჩია, მელოტი და ყურპანტურა პანტანია, რომელსაც სიყვარულით „სპილუკას“ ეძახიან. ამ კაცს სამი წლის წინ მეორე ადგილი დაუჭერია, მაგრამ 1995 წლის ოქტომბერში დაღმართზე ჯიპს დაჯახებია და ფეხი მოუტეხია. მას აქეთ მარკომ სამი ოპერაცია გადაიტანა და სარბიელს 16-თვიანი უქმობის შემდეგ დაუბრუნდა.


„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90


## აფროსნობა



# მოცილე სარეკორდოზე მეტია

ქართველი მორაგბეებისა არ იყოს, საბუთებთან და ფულთან დაკავშირებული საქმეების სულ ბოლო წუთამდე მიყვანა რომ ჩვევიათ, მთელს მსოფლიოში შეძლებით, სიდინჯითა და სიქველით გამორჩეულმა უცხოელმა აფროსნებმაც ზედ „დედ-ლაინზე“ — ახალი ზელანდიის დროით ოთხშაბათის 17 საათზე დააზვინეს ორგანიზატოებს აფროსანთა გრაალის — „ამერიკის თასის“ ცილობის განაცხადები.

თუ ოთხშაბათამდე საწინდარი — 200 ათასი ამერიკული დოლარი ოდენ 11 სინდიკატსა ჰქონდა გადახდილი, ბოლო დღეს მათ კიდევ შვიდი შეემატა. ჰოდა, მასპინძლის — ახალი ზელანდიის სამეფო ესკადრის ანგარიშზე 3,6 მილიონი დაიდო.

გაუმჯობესდა რეკორდიც: აქამდე ყველაზე მონაწილე-მრავალი გათამაშება 1986-87 წლებისა იყო, ფრიმენთლში (დას. ავსტრალია) რომ გაიმართა. იქ მასპინძლებს ექვსი ქვეყნის 13 ნავი ეცილებოდა ჯილდოს.

განაცხადები კი ალიწუსხა, მაგრამ თავად თასი ამჟამად ინგლისშია. ოქრომჭედლები მისი პირვანდელი სახით აღდგენას ცდილობენ.

საქმე ისაა, რომ მავანმა ტომით მაორმა აქტივისტმა პოლიტიკური მოტივით ჩაიდანა დიდი მკრეხელობა: თეთრებმა მიწა-წყალი რომ წაგვართვეს მკვიდრ მოსახლეობას, ამიტომ მათ მიერ მოგებულ უპირველეს ჯილდოს მუსრს გავავლებო. ადგა ეს კაცი და ესკადრის მუზეუმში საჯაროდ გამოფენილი თასი უროთი დაჩეჩქვა.

ზელანდიელებმა თასი ზუსტად ორი წლის წინ, ამერიკაში, სან-დიეგოს აკვატორიუმში მოიგეს, თავად კი 2000 წელს ოქლენდის ბოლაზში უნდა დაიცვან. მათ ალბათ კვლავ სერ პიტერ ბლეიქი უთავკაცებს.

18 მოცილიდან ხუთი ამერიკულია, სამი — ფრანგული, ორი — შვეიცარული; თითო წარმოადგენს იტალიას, ავსტრალიას, ბრიტანეთს, ჰონკონგს, იაპონიას, ესპანეთს, რუსეთსა და აშშ-ის ღვთისმშობლის კუნძულებს.

ერთ ამერიკულ სინდიკატს — სან-დიეგოსას ისევ წინამძღოლობს დენის კონერი, ვისაც თასი ორ-ორჯერ მოუპოვებია და დაუკარგავს. ამ კაცს უთქვამს, ცდუნებას ვერც ამჯერად გავუძელი, რადგან „ძველი სურის“ დასაუნჯებლად ბრძოლა ცხოვრების მიზნად მქცევიაო.

ავსტრალიელებს თავკაცობთ სიდ ფიშერი. იგი შეჯიბრში მეხუთედ ებმება, რითაც იმეორებს ბრიტანელის — სერ თომას ლიპტონის 1920-30-წლებისეულ რეკორდს. ჰონკონგის განაცხადს უკვე ჩინური ჰქვია, რადგან ეს ქალაქი თვე-ნახევარში დედა-სამშობლოს უბრუნდება, რუსეთს კი სანკტ-პეტერბურგელები წარმოაჩინებენ. მათ სინდიკატს მესიანისტური სახელი — „რუსეთის საუკუნე“ აურჩევია.

თუ შეჯიბრში 18-ვე სინდიკატი ჩაება, მასპინძლებთან გამჯიბრებლის გამოსავლენად 80 შესარჩევი რბოლის გამართვა იქნება საჭირო. ისინი 1999 წლის ოქტომბრიდან დაიწყება, თასი კი 2000 წლის თებერვალში გათამაშდება. იმ დროს ზელანდიაში ახალი, XXI საუკუნის პირველი ზაფხული იდგება.

## ტელევიზია

### საქართველოს დროით!

EUROSPORT

დღეს, შაბათს, 17 მაისს

11.30 საკალათბურთო ჟურნალი „[illegible]“; 12.00 ველო-კროსი: მსოფლიო თასი. [illegible]ალიიდან; 12.30 ატლასის მთების რალი. მაროკოდან; 13.00 მოტოციკლის ჟურნალი „პოულ“; 14.00 ავტორბოლა: ტურკარი. ინგლისიდან; 15.00 მსოფლიოს ულონიერესი კაცი; 16.00 მოტოციკლი: იტალიის დიდი პრიზი. კვალიფიკაცია. 125 კუბ. სმ. მუჯელოდან; 17.00 (-) 500 კუბ. სმ; 18.15 (-) 250 კუბ. სმ; 19.15 ჩოგბურთი: იტალიის ვაჟთა ღია პირველობა. II ნახევარფინალი. რომიდან (პ); 21.00 მოტოციკლი: მუჯელო (რ); 22.00 ჩოგბურთი: რომი. I ნახევარფინალი; 24.00 პაუერ-ლიფთინგი: ევროპის პირველობა. ბირმინგემიდან; 1.00 კრივი. ვბკ-ის ქვემძიმე წონის ჩემპიონობაზე. რ. ჯოუნზი — მ. გრიფინი; 2.00 მოტოციკლი (-); 3.00 სხეულის წრთობა: ესენის დიდი პრიზი. გერმანიიდან; 4.00 ბუნიკობანა (დარტსი): ევროპის ღია პირველობა. კანარეთიდან (5.00-მდე)

**ხვალ, კვირას, 18 მაისს**

11.30 მოტო-კროსის ჟურნალი „ქიქ“; 12.00 „პოულ“ (-); 13.00 მოტოციკლი: იტალიის დიდი პრიზი. მოთელვა; 13.30 ატლასის რალი; 14.00 (პ) მოტოციკლი: 125, 250, 500 კუბ. სმ; 18.15: ველო-კროსი. მსოფლიო თასი. ქეიფთაუნიდან; 19.30 ცხენოსნობა: ერთა თასი. ვინზორიდან (ინგლისი); 20.30 მოტოციკლი (რ); 22.00 ჩოგბურთი: რომი. ფინალი; 24.00 ავტორბოლა: ნასკარი. ვინსთონის თასის სერიალი. ჩრდ. კაროლინიდან (აშშ); 2.00 მოტოციკლი (-); 3.00 ატლასის რალი (4.30-მდე)

**ზეგ, ორშაბათს, 19 მაისს**

11.30 BMX-ის მსოფლიო თასი. გერმანიიდან; 12.00 ველო-კროსი: ქეიფთაუნი (-); 13.00 ნასკარი (-); 15.00 მოტოციკლი: მუჯელო (-); 16.30 ძალისმიერი ორჭიდი. პოლანდიიდან; 17.00 პაუერ-ლიფთინგი (-); 18.00 მსოფლიოს ულონიერესი კაცი; 19.00 ჭერქვეშ ავტო-რბოლა: სერიული მანქანები. ბერსიდან (პარიზი); 20.00 ჩოგბურთი: ატპ-ის ტურის გუნდური მსოფლიო თასი. დიუსელდორფიდან; 22.00 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები; 23.00 ავტო-ჟურნალი „ჩაუქი სამყარო“; 24.30 სუმო: ბაშოს ტურნირი. ოსაკადან (იაპონია); 1.30 საფეხბუთრო ჟურნალი „ევრო-გოლები“; 2.30 ჩოგბურთი: დიუსელდორფი (რ); 3.00 სნუქერი (ბრიტანული ბილიარდი): ევროპის ლიგა. ს. პენდრი — ჯ. პეროთი (4.30-მდე)

(-) იგივე; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

CNN INTERNATIONAL

**ყოველდღე**

2.30 და 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 16.30 და 19.30 (11.30-ის გადაცემის გამეორება)

## რაგბი

### ზე-12-ის სერიალი

**ბოლოსწინა, XI კვირა**

9. 05. დანიდინი. ოთაგო (ზელანდია) 16 (9) (ლ: ფალანიკო; გ, 3ს: ქლეინი) — ახალი სამხრეთი უელსი (სიდნეი, ავსტრალია) 27 (17) (3ლ: მედზი, მერდოქი, ბრაიალი; 3გ, 2ს: ბერქი)

კანბერა (13 500 მაყურებელი). დედაქალაქი (ავსტ) 48 (29) (7ლ: როფი 2, ფინეგანი, ლარქემი, გრეგანი, პარდი, ქოქერი; 5გ, ს: ნოქსი) — ვაიქათო (ზელ) 34 (13) (4ლ: რაში 3, პოპა; 4გ: ფოსტერი; 2ს: კუპერი)

10. 05. (40 ათასი). ოქლენდი (ზელ) 45 (16) (6ლ: მ. ჯოუნზი 2, ვიდირი, სპენსერი, ზ. ბრუქი, დაუდი; 3გ: ქეშმორი; 3ს: ქეშმორი, სპენსერი 2) — ველინგთონი (ზელ) 42 (16) (5ლ: უმაგა 2, ალენი, ქანინგემი, მაკა; 4გ, 3ს: პრესტონი)

ბრისბენი. ქვინზლენდი (ავსტ) 40 (25) (5ლ: პორანი, სმითი, პერბერთი, ლითლი, ვებსთერი; 3გ, 3ს: ილზი) — პაუტენვი (ყოფილი ტრანსვაალი; იოჰანესბურგი, აფრ) 27 (10) (4ლ: რუსო 2, ბროსნიჰანი, ადლამი; 2გ: ლიუბე, დიუტუა; ს: ლიუბე)

ბლუმფონტეინი (15 ათასი). ნარინჯი (აფრიკა) 11 (8) (ლ: სვონეპული) — ქენთებრი (ზელ) 16 (10) (ლ, გ, 3ს: ლილი)

11. 05. დურბანი. ნატალი (აფრ) 27 (10) (4ლ: ლოლისი 2, ალენი, გარვი; 2გ, ს: ლოლისი) — ჩრდილოეთი ტრანსვაალი (პრეტორია, აფრ) 27 (24) (3ლ: ვესელზი, სხუტე, სნაიმანი; 3გ, 2ს: სტეინი)

| | თ | მ | ნ | ფ | + | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოქლენდი | 10 | 9 | – | 1 | 7 | 401:263 | 45 |
| კანბერა | 10 | 7 | 3 | – | 8 | 371:262 | 36 |
| ველინგთონი | 10 | 6 | 4 | – | 9 | 387:279 | 33 |
| ნატალი | 10 | 5 | 3 | 2 | 6 | 313:308 | 30 |
| პაუტენვი | 10 | 4 | 5 | 1 | 5 | 260:338 | 23 |
| ჩრდ. ტრანსვ. | 10 | 3 | 4 | 3 | 4 | 241:307 | 22 |
| ქენთებრი | 10 | 4 | 5 | 1 | 3 | 224:232 | 21 |
| ქვინზლენდი | 10 | 4 | 6 | – | 4 | 260:270 | 20 |
| ახ. სამხრ. უელ. | 10 | 4 | 6 | – | 4 | 235:262 | 20 |
| ნარინჯი | 10 | 4 | 6 | – | 4 | 266:304 | 20 |
| ვაიქათო | 10 | 4 | 6 | – | 3 | 254:261 | 19 |
| ოთაგო | 10 | 2 | 8 | – | 5 | 265:391 | 13 |

ქულები: მოგება 4, წაგება 0, ფრე 2; არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანაც მეოთხე ლელოს გატანა — თითო დამატებითი ქულა („+“ გრაფა). მოწინავე ოთხეული გადის პლეი-ოფში

# ხმირიანი წაგება

ველინგთონის „გრიგალებმა“ ბოლო ხანს ზედიზედ გაიმარჯვეს. ახლა ირკვევა, რომ მათ წაგებაც კარგი ცოდნიათ: სტუმრად ისე ეომნენ და ებურთავნენ სერიალის აშკარა ფავორიტ ოქლენდს, რომ კინაღამ მოუგეს. ის ორი პრემიალური ქულაც, ფრენკ ოლივერის ბიჭებმა „იდენ პარკიდან“ ხელს რომ გააყოლეს, ალბათ ერთობ წაადგებათ ხვალ, ნახევარფინალის სამასპინძლოდ გასამართი გადამწყვეტი შერკინებისას. ველინგთონი ხომ უშუალო კონკურენტს — კანბერის „ველურ რაშებს“ მასპინძლობს.

„გრიგალებს“ უმეტესი შანსი აქვთ. წესითა და რიგით, უნდა გაიმარჯვონ და ავსტრალიელებს გადაუსწრონ. წაგებული კანბერა მხოლოდ მაშინ დარჩება მეორე ადგილზე, თუ 7 ქულაზე მეტით არ დამარცხდება, თავად მეოთხე ლელოს გაიტანს, მასპინძლებს კი ამდენს არ გაატანინებს.

„გრიგალები“ ოქლენდელ „ლურჯებს“ ზედ შესვენებამდე 16:6 უგებდნენ, მაგრამ მერე შავი 15 წუთი დაუდგათ: ლიდერმა ამ მონაკვეთში ხუთი (!) ლელოს გატანა მოახერხა და წინ 35:16 გაიჭრა. აქ ლელოში შეკრებილმა ველინგთონმა თათბირი გამართა და დიდი დევნა წამოიწყო.

ბოლო ხუთი წუთის დადგომამდე ანგარიში 42:37 იყო. ოქლენდმა ლელოსთან საჯარიმო რომ დაიმსახურა, კაპიტანმა ზინზან ბრუქმა კარში დარტყმა არჩია 45:37. მერე ველინგთონმა ლელო გაიტანა, მაგრამ რაკი მარტო გარდასახვა ვერ შეელოდა, პრესტონმა უგულოდ დაარტყა 45:42 და თავის ნახევრისკენ მოკურცხლა.

„გრიგალებმა“ შეტევა კიდევ მოასწრეს, მაგრამ შეცდნენ — ბურთი 15 ნომერ ქრისთიან ქალენს არ მისცეს, თორემ ოქლენდს ვერაფერი იხსნიდა. ისე კი, ამ ხოტორა, მარდმა და მოუხელთებელმა ბიჭმა, მოფერებით „პაეკაკარიკელი ექსპრესი“ რომ ჰქვია, იმ დღეს მეტოქის ორი ნაღდი ლელო მარტომ ჩაშალა: ძირს დასცა ზორბა გარემარბი ვიდირი და ახმახი მეორეხაზელი ლაფაიალი.

სხვაფრივ, საგულისხმო სხვა მატჩებშიც მრავლად იყო.

კანბერამ გარემარბ ჯო როფის ორი ლელოთი მეორე ნახევარშილა დააშამათა ვაიქათოს „ბელადები“. ზელანდიელთა მტკიცებით, ავსტრალიელებს შესვენებამდე დიდად შეეწია მათივე მსაჯი, რომელიც „რაშებს“ თამაშგარეიდან ათამაშებდა. ასე იყო თუ ისე, ზე-12-ში გუნდი აღარ დარჩა, კანბერაში რომ არ წაეგოს.

სიდნეის „ვორათაზს“ უკეთესობა დაეტყო: სამ-თამაშა ბერწობის შემდეგ ერთბაშად სამი ლელო გაიტანა. კარგად ითამაშა ნაკრების ექს-კაპიტანმა და კვაჰმა ფილ ქერნსმა, აქილევსის ტრავმის გამო წელიწადნახევარი რომ გაუცდა.

ქენთებრის „ჯვაროსნებმა“ სტუმრად პირველად გაიმარჯვეს, ჰაუტენჰის „ლომებმა“ კი ზღვისრეთული ტურნეს ბოლო, მეოთხე თამაშიც წააგეს და შინ დალეწილები გაბრუნდნენ. სამაგიეროდ, წრიული ეტაპის შარშანდელი გამარჯვებული ქვინზლენდი ფინიშზე ამოტივტივდა ცხრილის ფსკერიდან.

ოქლენდისა არ იყოს, დურბანის „კინგზ პარკზეც“ აიწონა-დაიწონა გაიმართა. სტუმარი „ლურჯი ხარები“ კარგა ხანს ბევრით იგებდნენ, მერე თითქო ნატალს უნდა გაემარჯვა, მაგრამ წამატებულ დროში „ზვიგენთა“ 9 ნომერი კევინ პათი ბრიყვულად შეედავა მსაჯს და კასპერ სტეინმაც 45 მეტრიდან დაკრა საჯარიმო. ფრე! ნატალს — სამი ქულა, ჩრდ. ტრანსვაალს — მხოლოდ ორი.

ოქლენდმა და ველინგთონმა წინა უქმეებზე იშვიათი შოუ გამართეს: საერთო ძალისხმევით 11 ლელო გაიტანეს და პირამდე გავსებული სტადიონიც სულ ბოლომდე აფორიაქეს. ახლა ზე-12-ის ქომაგებმა ისღა უნდა ინატრონ, რომ „გრიგალები“ და „ლურჯები“ პლეი-ოფშიც გადაეყარონ ერთმანეთს.

პრო სპორტი
ოქლენდიდან

**ბოლო კვირა**

გუშინ: ვაიქათო — ოთაგო 18:34 (2ლ-3ლ); ახ. სამხრ. უელსი — ოქლენდი
წუხელ: ჩრდ. ტრანსვაალი — ნარინჯი
დღეს: ქენთებრი — ქვინზლენდი, პაუტენჰი — ნატალი
ხვალ: ველინგთონი — კანბერა

## შენცა, სერჟ?!

დიდი ფრანგი მცველი სერჟ ბლანკო მოთამაშეობისას იშვიათი ჯენთლმენი იყო. არავის უნახავს, მულატ ბასკს უკადრისი რამ ჩაედინოს.

ახლა სერჟი მშობლიურ კლუბ „ბიარიცის“ პრეზიდენტია. ბლანკოს ბიჭებისა და „დაქსის“ მატჩი ისე განუსჯია მავან არბიტრს, რომ ბლანკოს რისხვა დაუმსახურებია. ამის გამო პრეზიდენტს ჯარიმად 5 ათასი ფრანკი დააკისრეს და თვის ბოლომდე სტადიონის გასახდელში შესვლაც აუკრძალეს.

PACIFIC RIM RUGBY CHAMPIONSHIP

**წყნარი ოკეანისპირა ქვეყნების პირველობა**

3. V. ჰონკონგი — იაპონია 42:20
10. V. ვანკუვერი (5 ათასი მოსეირე). კანადა — აშშ 53:14 (32:7) (7ლ-2ლ)




# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29